



საქვოსაზოგადოება
„არწივის ხეობა,,

ფინანსური ანგარიშგება საანგარიშო წლისთვის, რომელიც დასრულდა

2023 წლის 31 დეკემბერს

შინაარსი:

1. ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობის ანგარიში
2. დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა
3. სრული შემოსავლის ანგარიშგება
4. ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება
5. საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგება
6. ფულადი ნაკადების ანგარიშგება
7. ფინანსურ ანგარიშგებაში გამოყენებული სააღრიცხვო პოლიტიკა და განმარტებითი შენიშვნები

ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობის ანგარიში 2023 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის წარმოდგენილი ფინანსური ანგარიშგების მომზადებასა და დამტკიცებაზე

ეს ანგარიში, რომლის წაკითხვა უნდა მოხდეს დამოუკიდებელი აუდიტორის მე-2 გვერდზე წარმოდგენილ პასუხისმგებლობებთან ერთად, განსაზღვრულია სააქციო საზოგადოება „არწივის ხეობა“-ს ფინანსურ ანგარიშგებასთან მიმართებაში ხელმძღვანელობის და დამოუკიდებელი აუდიტორის შესაბამისი პასუხისმგებლობების გამიჯვნის თვალსაზრისით.

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია „არწივის ხეობა“-ს ფინანსური ანგარიშგების მომზადებაზე, რომელიც სამართლიანად ასახავს ფინანსურ მდგომარეობას 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, მის მიერ წარმოებული ოპერაციების შედეგებს, ფულადი სახსრების მოძრაობასა და კაპიტალში ცვლილებებს ამავე თარიღით დასრულებული წლისათვის, მცირე და საშუალო საწარმოთა ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტის („მსს ფასს“) შესაბამისად.

ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია:

- მართებული ბუღალტრული პრინციპების არჩევასა და მათ თანმიმდევრულ გამოყენებაზე;
- გონივრულ მსჯელობაზე და შეფასებებზე;
- განცხადებაზე, არის თუ არა ფინანსური ანგარიშგება მომზადებული მსს ფასს-ის მიხედვით და მნიშვნელოვანი გადახრები მსს ფასს-დან წარმოდგენილი და ახსნილი;
- ფინანსური ანგარიშგების მომზადებაზე ფუნქციონირებადი საწარმოს პრინციპის დაცვით თუ შეუსაბამო არაა ვარაუდი, რომ პროგნოზირებად მომავალში „არწივის ხეობა“-ს ბიზნესის ფუნქციონირებას საფრთხე არ ემუქრება.

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია:

- „არწივის ხეობა“-ს ეფექტიანი შიდა კონტროლის სისტემის შემუშავებაზე, დანერგვასა და შენარჩუნებაზე;
- ისეთი ბუღალტრული ჩანაწერების წარმოებაზე, რომელიც ნებისმიერ დროს, გონივრული სიზუსტით წარმოადგენს „არწივის ხეობა“-ს ფინანსურ მდგომარეობას და იძლევა რწმუნებას, რომ მისი ფინანსური ანგარიშგება შეესაბამება მსს ფასს-ის მოთხოვნებს;
- სავალდებულო საბუღალტრო ჩანაწერების წარმოებაზე საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად;
- „არწივის ხეობა“-ს აქტივების უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად საჭირო ქმედებების გახორციელებაზე;
- თაღლითობისა და სხვა დარღვევების აღმოჩენასა და თავიდან აცილებაზე.

ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, ხელმძღვანელობის მიერ დამტკიცდა გამოსაშვებად 2024 წლის 29 აპრილი

სს „არწივის ხეობა“-ს დირექტორი




გელა ბილაშვილი

სრული შემოსავლის ანაგარიშგება
2023 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის

		31.12.2023	31.12.2022
ამონაგები	4	2,177,469	2,240,397
გაყიდული საქონლის თვითღირებულება		(1,120,510)	(1,187,140)
საერთო მოგება		1,056,959	1,053,257
სხვა შემოსავლები	5	1,673	1,574
ადმინისტრაციული ხარჯები		(288,142)	(302,492)
სხვა ხარჯები	6	(48,300)	(33,435)
მოგება დაბეგვრამდე		722,190	732,505
საგადასახადო ხარჯი		(135,316)	(109,748)
საანგარიშო პერიოდის წმინდა მოგება-ზარალი		586,874	622,757
გადაფასების მოდელით შეფასებული ძირითადი საშუალებების გადაფასების ნამეტის ზრდა		350,208	
გადაფასების მოდელით შეფასებული ძირითადი საშუალებების გადაფასების ნამეტის შემცირება		(21,715)	
მთლიანი სრული შემოსავალი		915, 367	


სს „არწივის ხეობა“-ს დირექტორი



გელა ბილაშვილი

**ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება
2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით**

		31.12.2023	31.12.2022	01.01.2022
აქტივები				
გრძელვადიანი აქტივები				
ძირითადი საშუალებები	7	2,275,020	2,133,063	2,201,542
მიწა		613,400	560,800	560,800
არამატერიალური აქტივები	8	49,451	55,175	63,148
ბიოლოგიური აქტივები		2,300	2300	2,300
სულ გრძელვადიანი აქტივი		<u>2,940,171</u>	<u>2,751,338</u>	<u>2,827,790</u>
მიმდინარე აქტივები				
მარაგი	9	363283	537,574	363,489
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	10	18150	31,181	27,916
საგადასახადო მოთხოვნები		862.15	1,001	
ფულადი სახსრები და ექვივალენტები	11	204543	53,983	64,811
სულ მიმდინარე აქტივები		<u>586838</u>	<u>623,739</u>	<u>456,216</u>
სულ აქტივები		<u>3,527,009</u>	<u>3,375,077</u>	<u>3,284,006</u>
საკუთარი კაპიტალი და ვალდებულებები				
საკუთარი კაპიტალი				
სააქციო კაპიტალი		410,770	410,770	410,770
რეზერვები		2059857	1,769,875	1,807,605
გაუნაწილებელი მოგება-ზარალი		655387	679,842	1,003,372
სულ საკუთარი კაპიტალი		<u>3,126013</u>	<u>2,860,487</u>	<u>3,221,747</u>
მოკლევადიანი ვალდებულებები				
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	12	69998	92,235	15,001
საგადასახადო ვალდებულებები	13	50526	48,059	11,332
ვალდებულებები პერსონალის წინაშე		-	-	
სხვა მოკლევადიანი ვალდებულებები	14	280473	377434	35,926
სულ მოკლევადიანი ვალდებულებები		<u>400,997</u>	<u>514,589</u>	<u>62,259</u>
სულ საკუთარი კაპიტალი და ვალდებულებები		<u>3,527,009</u>	<u>3,375,077</u>	<u>3,284,006</u>
სს „არწივის ხეობა“-ს დირექტორი		გელა ბიღიაშვილი		



ფულადი ნაკადების ანგარიშგება
2023 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის

ფულადი ნაკადების ანგარიშგება პირდაპირი მეთოდით

31.12.2023

31.12.2022

ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან

საქონლის გაყიდვიდან და მომსახურების გაწევიდან

2,584,268

2,621,024

მიღებული ფულადი სახსრები

საქონლისა და მომსახურების მომწოდებელთათვის

(585,675)

(869,949)

გადახდილი ფულადი სახსრები

დაქირავებულ პირთათვის და მათი სახელით

(6,011,55)

(709,124)

გადახდილი ფულადი სახსრები

ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან

1,397,439

1,041,951

გადახდილი მოგების გადასახადი

(1,35,316)

(109,577)

გადახდილი სხვა გადასახადები

(345,665)

(322,313)

ფულადი სახსრების ნაკადები განსაკუთრებულ მუხლებამდე

916458

610,061

წმინდა ფულადი სახსრები საოპერაციო საქმიანობიდან

916458

610,061

ფულადი ნაკადები საინვესტიციო საქმიანობიდან

ძირითადი საშუალებების, არამატერიალური და სხვა გრძელვადიანი აქტივების შესაძენად გადახდილი ფულადი სახსრები

(2,525)

(5,957)

ძირითადი საშუალებების, არამატერიალური და სხვა გრძელვადიანი აქტივების გაყიდვიდან მიღებული ფულადი სახსრები

1,000

საინვესტიციო საქმიანობისათვის გამოყენებული წმინდა ფულადი სახსრები

(2525)

(4,957)

ფულადი ნაკადები საფინანსო საქმიანობიდან

მიღებული პროცენტები

1,378

4,324

გაცემული დივიდენდები

(764,755)

(620,937)

საფინანსო საქმიანობისათვის გამოყენებული წმინდა ფულადი სახსრები

(763,377)

(616,612)

ფულადი სახსრების და მათი ექვივალენტების წმინდა ზრადა/შემცირება

150,556

(11,509)

სავალუტო გადაფასების შემოსავალი

4

681

ფულადი სახსრები და ექვივალენტები

53,983

64,811

საანგარიშგებო პერიოდის დასაწყისისათვის

ფულადი სახსრები და ექვივალენტები

11


204,543

53,983

საანგარიშგებო პერიოდის ბოლოსათვის


სს „არწივის ხეობა“-ს დირექტორი

გელა ბილიაშვილი



საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგება

2023 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის

	საწესდებო კაპიტალი	გადაფასების რეზერვი	გაუნაწილებელი მოგება	სულ	
31.12.2021 წაშლი კორექტირების შემდგომ	410,770	1,80,7605	1,003,372	3,221,747	
წმინდა მოგება/ზარალი	0,00		622,757	622,757	სს „არწივის ხეობა“- ს დირექტორი
რეზერვის შემცირება		(37,729)	36,927	(802)	
დივიდენდები			(983,214)	(983,214)	
31.12.2022 წაშლი	410,770	1,769,875	679,842	2,860,487	გელა ბილაშვილი
წმინდა მოგება/ზარალი	0,00		586,874	586,874	
ძირითადი საშუალებების გადაფასების შედეგი		328,493		328493	
რეზერვის შემცირება		(38,512)	38,512	0	
დივიდენდები			(649842)	(649,842)	
31.12.2023 წაშლი	410,770	2,059,857	655,387	3,126,013	

1. ზოგადი ინფორმაცია

სს „არწივის ხეობა“ რეგისტრირებულია საქართველოში 1996 წლის 30 აგვისტოს. რეგისტრაციის N60/5-245

საიდ. კოდი 228518805. იურიდიული მისამართია საქართველო დედოფლისწყარო. კომპანიის ძირითად საქმიანობას წარმოადგენს სასარგებლო წიაღისეულის მოპოვება.

კომპანია დააფუძნა 53 აქციონერმა. 2022 წლის 1 იანვრის მდგომარეობით „არწივის ხეობას“ ყავს 45 აქციონერი. გამოშვებული და მთლიანად ანაზღაურებულია 41 077 აქცია ათლარიანი ნომინალური ღირებულებით. 2023 წელს აქციონერთა რეესტრში ცვლილება არ განხორციელებულა.

2006 წლის ივნისში კომპანიამ სახელმწიფოსგან 25 წლიანი იჯარით აიღო დედოფლისწყაროს რაიონ სოფელ წითელწყაროში 80 ჰექტარი სასოფლო-სამეურნეო მიწის ნაკვეთი. აღნიშნულ ტერიტორიაზე

კომპანია ანხორცილებს საცემენტე კირქვის მოპოვებას 2008 წლის ივნისში აღებული ლიცენზიის საფუძველზე.

ფინანსური ანგარიშგების მომზადების ეტაპზე საწარმოო ბაზა და ოფისი განთავსებულია დედოფლისწყაროს რაიონში სოფელ ხორნაბუჯში.

კომპანიის ძირითადი საქმიანობა არის ბუნებრივი რესურსების (ქვიშა-ხრემის) მოპოვება და გადამუშავება.

კომპანიის საქმიანობა ხორციელდება საქართველოს ტერიტორიაზე. შესაბამისად, დამოკიდებულია საქართველოს ეკონომიკურ და ფინანსურ ბაზრებზე, რომლებიც წარმოადგენენ განვითარებადი ქვეყნების ბაზრებს. სამართლებრივი, საგადასახადო და მარეგულირებელი ბაზები ჯერ კიდევ ვითარდება და განიცდის სხავდასხვა ინტერპრეტაციებსა და ცვლილებებს მათი სრულყოფის მიმართულებით.

საწარმო ფულადი სახსრების ძირითად ნაწილს გამოიმუშავებს და ხარჯავს საქართველოში, რომელიც წარმოადგენს მის ძირითადი ეკონომიკური გარემოს. შესაბამისად, საწარმოს სამუშაო ვალუტა და ფინანსური ანგარიშგების წარსადგენი ვალუტაა ქართული ლარი.

ფინანსური ანგარიშგება არის ერთი საწარმოს ანგარიშგება 2023 წლის პირველი იანვრით დაწყებული და 31 დეკემბრით დასრულებული საანგარიშგებო პერიოდისათვის. ფინანსური ანგარიშგების თანხები დამრგვალებულია ერთეულამდე სიზუსტით.

2. მომზადების საფუძველი

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბაზისზე მიერ გამოცემული მცირე და საშუალო საწარმოთა ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტის შესაბამისად.

კომპანიის წლიური ფინანსური ანგარიშგების მომზადება ემყარება ფუნქციონირებადობისა და დარიცხვის მეთოდის ძირითად დაშვებებს. კომპანიის მენეჯმენტს სჯერა, რომ ფუნქციონირებადობის დაშვება შესაბამისია კომპანიისათვის.

3. არსებითი სააღრიცხვო პოლიტიკა

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგების მსს ფასს სტანდარტის საფუძველზე მოსამზადებლად განისაზღვრა შესაბამისი სააღრიცხვო პოლიტიკა. ქვემოთ მოცემულია ფინანსური ანგარიშგების მოსამზადებლად გამოყენებული სააღრიცხვო პოლიტიკა. იგი თანმიმდევრულად არის გამოყენებული ამ ფინანსურ ანგარიშგებაში წარმოდგენილ ყველა პერიოდთან მიმართებაში.

(ა) ამონაგების აღიარება

ამონაგების შეფასება ხდება მიღებული ან მისაღები ანაზღაურების რეალური ღირებულებით. იგი არ მოიცავს გაცემულ ყველანაირ სავაჭრო ფასდათმობას, ასევე ვადაზე ადრე გადახდის და პარტიის მოცულობაზე დამოკიდებულ ფასდათმობებს. ამონაგებში ჩართულია მხოლოდ საკუთარი სახელით მიღებული ან მისაღები ეკონომიკური სარგებლის მთლიანი თანხა.

პროცენტი აღიარდება ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდით.

(ბ) მოგების გადასახადი

მიმდინარე საგადასახადო ვალდებულება (აქტივი) ფასდება იმ თანხით, რომლის გადახდა (ანაზღაურება) მოსალოდნელია საანგარიშგებო თარიღისთვის ძალაში შესული საქართველოს საგადასახადო კოდექსით (სსკ) განსაზღვრული საგადასახადო განაკვეთისა დაბეგვრის პრინციპების გათვალისწინებით.

სსკ-ის მიხედვით საწარმოსათვის მოგების გადასახადით დაბეგვრის ობიექტია: განაწილებული მოგება; გაწეული ხარჯი ან სხვა გადახდა, რომელიც ეკონომიკურ საქმიანობასთან დაკავშირებული არ არის; უსასყიდლოდ საქონლის მიწოდება/მომსახურების გაწევა ან/და ფულადი სახსრების გადაცემა; კოდექსით დადგენილ ზღვრულ ოდენობაზე მეტი ოდენობით გაწეული წარმომადგენლობითი ხარჯი.

მოგების გადასახადით დაბეგვრის ობიექტი, დივიდენდის სახით განაწილებული მოგების გარდა, იბეგრება დაბეგვრის ობიექტის წარმოშობისთანავე და საგადასახადო ვალდებულება აღიარდება ყოველი საანგარიშგებო თვის ბოლოს. საწარმოს მიერ მის პარტნიორზე დივიდენდის სახით გასანაწილებელ დივიდენდთან დაკავშირებული მიმდინარე საგადასახადო ვალდებულება ფასდება გაუნაწილებელი მოგების მიმართ გამოსაყენებელი საგადასახადო განაკვეთით მანამ, სანამ საწარმო აღიარებს დივიდენდების გადახდის ვალდებულებას.

(გ) ოპერაციები უცხოურ ვალუტაში

უცხოური ვალუტით წარმოებული ოპერაციები თავდაპირველი აღიარებისას აისახება სამუშაო ვალუტით, რისთვისაც უცხოურ ვალუტაში გამოსახული თანხის მიმართ გამოიყენება უცხოური ვალუტის სამუშაო ვალუტაზე გასაცვლელი სპოტ სავალუტო კურსი, ოპერაციის თარიღისათვის.

ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს, უცხოური ვალუტით შეფასებული ფულადი მუხლები ფასდება საბოლოო სავალუტო კურსის გამოყენებით.

საკურსო სხვაობები, რომლებიც წარმოიშობა ფულადი მუხლების საბოლოო ანგარიშსწორების ან ფულადი მუხლების გადაყვანის დროს ისეთი სავალუტო კურსით, რომელიც განსხვავდება მოცემულ პერიოდში ან წინა პერიოდების ფინანსურ ანგარიშგებაში თავდაპირველი აღიარების დროს გადასაყვანად გამოყენებული სავალუტო კურსისაგან, აღიარდება მოგებაში ან ზარალში იმ საანგარიშგებო პერიოდში, როდესაც წარმოიშობა,.

(დ) ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები

ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები შედგება ხელთ არსებული ბანკნოტებისა და მონეტებისგან და ბანკებში არსებული შეუზღუდავი მიმდინარე ანგარიშებისაგან.

(ე) მარაგი

მარაგის შეფასება ხდება თვითღირებულებასა და შეფასებით გასაყიდ ფასს შორის უმცირესი თანხით, რომელსაც გამოკლებული აქვს პროდუქციის დასრულებისა და გაყიდვისთვის საჭირო დანახარჯები.

მარაგის ღირებულების შემცირების თანხა წარმოადგენს გაუფასურების ზარალს და დაუყოვნებლივ აღიარდება მოგებაში ან ზარალში. მომდევნო საანგარიშგებო თარიღისთვის მარაგის შეფასების დროს თუ მარაგის დასრულებისა და გაყიდვისთვის საჭირო დანახარჯებით შემცირებული გასაყიდი ფასი გაიზრდება, მოხდება გაუფასურების თანხის აღდგენა (უკუგატარებით) იმგვარად, რომ ახალი საბალანსო ღირებულება იყოს უმცირესი, თვითღირებულებასა და მისი დასრულებისა და გაყიდვისთვის საჭირო დანახარჯებით შემცირებულ, შესწორებულ გასაყიდი ფასს შორის.

როდესაც მარაგი გაიყიდება, მისი საბალანსო ღირებულება აღიარდება იმ პერიოდის ხარჯად, როდესაც მიღებულ იქნა შესაბამისი ამონაგები.

გახარჯული მარაგის თვითღირებულების განსაზღვრისთვის გამოიყენება „პირველი შემოსავალში - პირველი გასავალში“ (ფიფო) მეთოდი.

(ვ) დივიდენდები

დივიდენდები აღიარდება მაშინ, როდესაც ძალაში შევა საწარმოს უფლება დივიდენდების მიღების შესახებ.

(ზ) იჯარა

იჯარა კლასიფიცირდება ფინანსურ იჯარად, თუ იგი ითვალისწინებს აქტივის საკუთრებასთან დაკავშირებული ფაქტობრივად ყველა რისკისა და ეკონომიკური სარგებლის გადაცემას საწარმოსათვის. ყველა სხვა იჯარა კლასიფიცირდება ჩვეულებრივ (საოპერაციო) იჯარად.

ფინანსური იჯარით ფლობილ აქტივებზე უფლებები აღიარდება, როგორც საწარმოს აქტივები, იჯარით აღებული ქონების რეალური ღირებულების ტოლი თანხით (ან, თუ მასზე ნაკლებია, მინიმალური საიჯარო გადასახდელების დისკონტირებული ღირებულებით), რომელიც განისაზღვრება იჯარის დასაწყისში. მეიჯარის მიმართ შესაბამისი ვალდებულება აისახება ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში, როგორც ფინანსური იჯარის ვალდებულება. საიჯარო გადასახდელები ნაწილდება დარიცხულ ფინანსურ ხარჯებსა და საიჯარო ვალდებულების შემცირებას შორის ისე, რომ წარმოიქმნება მუდმივი საპროცენტო განაკვეთი ვალდებულების დაუფარავი ნაშთის მიმართ. დარიცხული ფინანსური ხარჯები აკლდება მოგების ან ზარალის შეფასებას. ფინანსური იჯარით ფლობილი აქტივები ჩაირთვება ძირითად საშუალებებში და მათაც ისევე დაერიცხება ცვეთა და ისევე ხდება მათი გაუფასურების ზარალის შეფასება, როგორც საწარმოს საკუთრებაში არსებული აქტივებისთვის.

ჩვეულებრივი იჯარის ფარგლებში გადასახდელი საიჯარო გადასახდელები აისახება მოგებაში, ან ზარალში წრფივი მეთოდით, შესაბამისი იჯარის ვადის განმავლობაში.

ფინანსური იჯარის ხელშეკრულებით საწარმოს განკარგულებაში არსებული აქტივები აღიარდება და ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში აისახება მოთხოვნის სახით, წმინდა საიჯარო ინვესტიციის ტოლი თანხით. საანგარიშგებო პერიოდის საიჯარო გადასახდელები ასახავს როგორც ძირითად თანხის, ისე გამოუმუშავებელი ფინანსური შემოსავლის შემცირებას და ნაწილდება მათ შორის ისე, რომ ფინანსური შემოსავლის აღიარება ასახავდეს ფინანსურ იჯარაში საწარმოს წმინდა საიჯარო ინვესტიციებიდან უკუგების მიღების მუდმივ პერიოდულ განაკვეთს.

ჩვეულებრივი იჯარის ფარგლებში საწარმოს მიერ მიღებული საიჯარო შემოსავალი აღიარდება მოგებაში ან ზარალში წრფივი მეთოდით,

(თ) ძირითადი საშუალებები

ძირითადი საშუალებების შეფასება ხდება მისი თვითღირებულებიდან დაგროვილი ცვეთისა და დაგროვილი გაუფასურების ზარალის გამოკლების შედეგად მიღებული თანხით.

აქტივების ნარჩენი ღირებულებით შემცირებული თვითღირებულების მისი სავარაუდო სასარგებლო მომსახურების ვადაზე განაწილების მიზნით, ცვეთის დარიცხვა ხდება წრფივი მეთოდის გამოყენებით. ძირითად საშუალებებზე ცვეთის დასარიცხად გამოიყენება შემდეგი წლიური განაკვეთები:

➤ შენობა-ნაგებობები	5%
➤ მანქანა-დანადგარები	10-15%
➤ საოფისე აღჭურვილობა	20-30%
➤ ავეჯი და მოწყობილობები	14-20%
➤ სატრანსპორტო	10-20%
➤ სხვა ძირითადი	5-20%

თუ არსებობს რაიმე მინიშნება, რომ ცვეთის განაკვეთებში, აქტივის სასარგებლო მომსახურების ვადაში ან ნარჩენ ღირებულებაში მოხდა რაიმე მნიშვნელოვანი ცვლილება, მოხდება აქტივის ცვეთის გადახედვა და კორექტირება, რათა ასახოს მიმდინარე შეფასებები აქტივის მოსალოდნელ გამოყენებასთან დაკავშირებით. ძირითადი საშუალებების მიმდინარე მომსახურების ხარჯების აღიარება ხდება მოგებაში ან ზარალში მათი გაწევისთანავე.

შენობა-ნაგებობები, მანქანა-დანადგარები და სატრანსპორტო საშუალებები ფინანსურ ანგარიშგებაში აისახება გადაფასებული ღირებულებით, შემდგომში დაგროვილი ცვეთისა და დაგროვილი გაუფასურების ზარალის თანხების გამოკლებით.

თუ გადაფასების შედეგად აქტივის საბალანსო ღირებულება იზრდება, ნამეტი აღიარდება სხვა სრულ შემოსავალში, და გროვდება საკუთარი კაპიტალის განყოფილებაში „გადაფასების ნამეტის“ სახით.

თუ გადაფასების შედეგად აქტივის საბალანსო ღირებულება მცირდება, შემცირების თანხა აღიარდება მოგებაში ან ზარალში. თუმცა, სხვა სრულ შემოსავალში აღიარდება გადაფასებიდან მიღებული შემცირების თანხა იმ ოდენობით, რა სიდიდის საკრედიტო ნაშთიც არსებობს გადაფასების ნამეტში ამ აქტივთან დაკავშირებით. ანალოგიურად , გადაფასების შემცირებად განიხილება გადაფასებულ აქტივთან დაკავშირებული ნებისმიერი გაუფასურების ზარალი

თუ არსებობს რაიმე ნიშანი იმისა, რომ ცვეთის ნორმა, აქტივის სასარგებლო მომსახურების ვადა, ან ნარჩენი ღირებულება მნიშვნელოვნად შეიცვალა, ახალი მოლოდინის ასახვის მიზნით, მოცემული აქტივის ცვეთა შესწორდება პერსპექტიულად.

ძირითადი საშუალების აღიარების შეწყვეტის შედეგად წარმოქმნილი შემოსულობა ან ზარალი (სხვაობა ძირითადი საშუალების გასვლის შედეგად წარმოქმნილ წმინდა შემოსულობასა და მის საბალანსო ღირებულებას შორის) აღიარდება პერიოდის მოგებაში ან ზარალში და კლასიფიცირდება სხვა შემოსავლის ან სხვა ხარჯის სახით.

(ი) არამატერიალური აქტივები

არამატერიალური აქტივის შეფასება ხდება თვითღირებულებით, დაგროვილი ამორტიზაციისა და დაგროვილი გაუფასურების ზარალის გამოკლებით.

არამატერიალურ აქტივებს, ცვეთადი ღირებულების სისტემატურ საფუძველზე განაწილების მიზნით, სასარგებლო მომსახურების ვადის განმავლობაში ერიცხებათ ამორტიზაცია წრფივი მეთოდით. ამორტიზაციის დასარიცხად გამოიყენება წლიური განაკვეთი 15 პროცენტი .

თუ არსებობს არამატერიალური აქტივის ნარჩენი ღირებულების ან მისი სასარგებლო მომსახურების ვადის შეცვლის რაიმე ნიშნები, აქტივის ნარჩენი ღირებულების, ამორტიზაციის მეთოდის ან სასარგებლო მომსახურების ვადის ცვლილება შესწორდება პერსპექტიულად.

(ვ) აქტივების გაუფასურება

ყოველი საანგარიშგეო თარიღისათვის ტარდება ძირითადი საშუალებების (რომელიც აღრიცხული არ არის გადაფასების მოდელის შესაბამისად) არამატერიალური აქტივების, განხილვა, რათა დადგინდეს, არსებობს თუ არა რაიმე ნიშანი იმისა, რომ აღნიშნული აქტივები გაუფასურებულია. იმ შემთხვევაში, თუ არსებობს შესაძლო გაუფასურების ნიშანი, შეფასდება ნებისმიერი აქტივის (ან დაკავშირებულ აქტივთა ჯგუფის) ანაზღაურებადი ღირებულება და შეუდარდება მის საბალანსო ღირებულებას. თუ შეფასებული ანაზღაურებადი ღირებულება ნაკლებია, საბალანსო ღირებულება შემცირდება მის ანაზღაურებად ღირებულებამდე, ხოლო გაუფასურების ზარალი დაუყოვნებლივ აღიარდება მოგებაში ან ზარალში.

იმ შემთხვევაში, თუ შემდგომში მოხდება გაუფასურების ზარალის აღდგენა/კომპენსირება, აქტივის (ან მსგავსი აქტივების ჯგუფის) საბალანსო ღირებულება გაიზრდება აქტივის ანაზღაურებადი ღირებულების (მარაგის შემთხვევაში - პროდუქციის დასრულებისა და გაყიდვისთვის საჭირო დანახარჯებით შემცირებული სარეალიზაციო ფასის) შესწორებულ შეფასებულ სიდიდემდე, მაგრამ არ გაიზრდება იმ თანხაზე მეტად, რომელიც განისაზღვრებოდა იმ შემთხვევაში, თუ წინა წლებში არ მოხდებოდა აქტივის (ან მსგავსი აქტივების ჯგუფის) გაუფასურების ზარალის აღიარება. გაუფასურების ზარალის აღდგენის (კომპენსირების) თანხა დაუყოვნებლივ აღიარდება მოგებაში ან ზარალში.

(ლ) სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

მომხმარებელზე მოკლევადიანი საკრედიტო პირობებით საქონლის მიყიდვიდან წარმოქმნილი მოთხოვნა აღიარდება ამ პირისგან მისაღები ფულადი სახსრების არადისკონტირებული ღირებულებით, გაუფასურების (თანხის ამოღების შეუძლებლობა) გათვალისწინებით.

მომხმარებელზე ბიზნესის ჩვეულებრივი პირობებისგან განსხვავებული პირობებით უპროცენტო კრედიტით საქონლის მიყიდვიდან წარმოქმნილი მოთხოვნა აღიარდება ამ საქონლის ნაღდი ანგარიშსწორებით გასაყიდი მიმდინარე ფასით და საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს ფასდება ამორტიზებული ღირებულებით, ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდით, გაუფასურების (თანხის ამოღების შეუძლებლობა) გათვალისწინებით.

(მ) სავაჭრო ვალდებულებები

მომწოდებლისგან მოკლევადიანი საკრედიტო პირობებით საქონლის შეძენიდან წარმოშობილი ვალდებულება აღიარდება მომწოდებლისთვის გადასახდელი დავალიანების არადისკონტირებული ღირებულებით.

უცხოურ ვალუტაში გამოსახულ მიწოდებიდან და მომსახურებიდან წარმოქმნილი ვალდებულების ნებისმიერი ცვლილება, რომელიც გამოწვეულია სავალუტო კურსის ცვლილებით, აღიარდება მოგებაში ან ზარალში

(ნ) დაქირავებულ პირთა მოკლევადიანი გასამრჯელოები

დაქირავებულ პირთა ყველა სახის მოკლევადიან გასამრჯელოსთან დაკავშირებული დანახარჯი, რომლის მიღების უფლებაც დაქირავებულმა პირებმა მოიპოვეს საანგარიშგებო პერიოდში გაწეული მომსახურების სანაცვლოდ, აღიარდება როგორც ვალდებულება და როგორც ხარჯი (გარდა იმ დანახარჯისა, რომელიც აღიარდება მარაგის, ძირითადი საშუალებების ან სხვა აქტივის თვითღირებულებაში).

საანგარიშგებო პერიოდის განმავლობაში, საწარმოს მიერ მოკლევადიანი გასამრჯელოს სახით აღიარებული თანხები ფასდება დაქირავებული პირის იმ მოკლევადიანი გასამრჯელოების არადისკონტირებული სიდიდით, რომელიც გადასახდელია დაქირავებულის მიერ გაწეული ზემოაღნიშნული მომსახურების სანაცვლოდ.

დაგროვებადი ანაზღაურებადი შვებულებების მოსალოდნელი ღირებულება ფასდება, როგორც არადისკონტირებული დამატებითი თანხა, რომლის გადახდასაც საწარმო ვარაუდობს იმ გამოუყენებელი უფლებისათვის, რომელიც დაგროვდა საანგარიშგებო პერიოდის ბოლოსთვის.

4. ამონაგები

	დასახელება	ნაშთი 31.12.2023	ნაშთი 31.12.2022
1	საქონლის გაყიდვა	2,177,469	2,160,848
2	სხვა მარაგის გაყიდვა		79,549
	ჯამი	2,177,469	2,240,397

5. სხვა შემოსავლები

	დასახელება	ნაშთი 31.12.2023	ნაშთი 31.12.2022
1	საპროცენტო შემოსავლები	1,571	4,076
2	შემოსავლები მეორადი სათადარიგო ნაწილებიდან		9,886
3	სხვა არასაოპერაციო შემოსავლები	102	1,041
4	შემოსავალი ძირითადი საშუალების რეალიზაციიდან		172
	ჯამი	1673	15,174

6. სხვა ხარჯები

(ლარი)

	დასახელება	ნაშთი 31.12.2023	ნაშთი 31.12.2022
1	ძირითადი საშუალებების ჩამოწერის ხარჯი	-	24,822
2	სხვა არასაოპერაციო ხარჯი	3055	8,613
3	ძირითადი საშუალების გადაფასების ზარალი	45245	
	ჯამი:	48,300	33,435

7. ძირითადი საშუალებები

ბალანსში რეალური ღირებულების მოდელით ასახული ძირითადი საშუალებები

დასახელება	დაუმთავრებელი შენიშვნა და მოყვანილობა	შენიშვნა ნაგებობა	მანქანა დანადგარები	სატრანსპორტო საშუალებები	სულ
გადაფასებული ღირებულება					
ნაშთი: 31.12.2022	<u>7,126</u>	<u>474,155</u>	706,766	<u>1,067,967</u>	<u>2,256,013</u>
აქტივების შეძენა			9,492		<u>9,492</u>
აქტივების გასვლა/რეკლასიფიკაცია	(7,126)			(4,463)	<u>(11,589)</u>
არსებული ცვეთის გაუქმება გადაფასების შედეგად 31.12.,2023		(45200)	(80034)	(103150)	<u>(228,384)</u>
გადაფასება 31.12.2023		102293	107011	<u>21346</u>	<u>230,649</u>
ნაშთი: 31.12.2023	<u>0</u>	<u>531,247</u>	<u>743,235</u>	<u>981,700</u>	<u>2,256,182</u>
დაგროვილი ცვეთა და გაუფასურება					
ნაშთი: 31.12.2022		<u>29,807</u>	<u>52,419</u>	<u>61,128</u>	<u>143,354</u>
წლიური ცვეთა		15,669	27,615	42,021	<u>85,305</u>
გაუფასურება					
გასული აქტივების დაგროვილი ცვეთა					
არსებული ცვეთის გაუქმება გადაფასების შედეგად 31.12.2023		(45,200)	(80,034)	(103,149)	<u>(228,383)</u>
ნაშთი: 31.12.2023					
საბალანსო ღირებულება 31.12.2022	7,126	444,348	654,347	1,006,839	<u>2,112,659</u>
საბალანსო ღირებულება 31.12.2023	0	531,246	743,235	981,700	<u>2,256,181</u>

ძირითადი საშუალებების ცვეთა დარიცხულია წრფივი მეთოდით, შენობა-ნაგებობები, მანქანა-დანადგარები და სატრანსპორტო საშუალებები ბალანსში ასახულია გადაფასებული ღირებულებით. ბოლო გადაფასება განხორციელებულია 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით დამოუკიდებელი შემფასებლის მიერ. ოფისის აღჭურვილობა და ავეჯი და სხვა ივენტარი ბალანსში ასახულია თვითღირებულებიდან აკუმულირებული ცვეთის თანხის გამოკლებით.

კომპანია აწარმოებს დავას 2021 წლის 31 დეკემბერს შეძენილ ექსკავატორთან დაკავშირებით. მომწოდებელთან დავა მიმდინარეობს გაყალბებული მონაცემების გამო. შეძენილი ნივთის სამარკო მონაცემები არ ემთხვევა ფაქტიურს. აღნიშნული ექსკავატორის ფაქტიური გამოყენება კომპანიის მხრიდან ვერ ხორციელდება ფინანსური ანგარიშგების მომზადების თარიღისათვის. ექსკავატორის ნარჩენი ღირებულება 261,004 ლარია.

ბალანსში თვითღირებულების მოდელით ასახული ძირითადი საშუალებები

	დასახელება	ოფისის აღჭურვილობა	ავთო და სხვა ინვენტარი	სულ
	თვითღირებულება			
	ნაშთი: 31.12.2022	<u>26,217</u>	<u>9,915</u>	<u>36,132</u>
	აქტივების შეძენა	492	1,169	1,661
	აქტივების გასვლა			
	ნაშთი: 31.12.2023	<u>26,709</u>	<u>11,084</u>	<u>37,793</u>
	დაგროვილი ცვეთა და გაუფასურება			
	ნაშთი: 31.12.2022	<u>12,651</u>	<u>3078</u>	<u>15,729</u>
	წლიური ცვეთა	2,385	566	2,951
	გასული აქტივების დაგროვილი ცვეთა			
	ნაშთი: 31.12.2023	<u>15036</u>	<u>3644</u>	<u>18680</u>
	საბალანსო ღირებულება 31.12.2022	<u>15,036</u>	<u>3,644</u>	<u>20,403</u>
	საბალანსო ღირებულება 31.12.2023	<u>11,673</u>	<u>7,440</u>	<u>17,390</u>

2012 წლის მაისიდან დღემდე - კომპანია აწარმოებს დავას საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტროსა და საჯარო რეესტრის ეროვნულმა სააგენტოს წინააღმდეგ 9 სართულიანი საერთო საცხოვრებლის ტიპის შენობა-ნაგებობასთან დაკავშირებით, რომელიც კანონიერი საფუძვლის გარეშე, სახელმწიფო საკუთრებად დარეგისტრირდა. მოთხოვნილი ზარალის ასანაზღაურებელი თანხა შეადგენს 2 590 000 ლარს.

8. არამატერიალური აქტივები

	აქტივის დასახელება	ნაშთი 31.12.2023	შემოსვლა	გასვლა	ნაშთი 31.12.2022
	თვითღირებულება				
1	ლიცენზიები	146,853	0	0	146,853
2	საბუღ. პროგ. "ორისი"	1,249	0	0	1,249
3	სხვა პროგრამული უზრუნველყოფა	3,458	0	0	3,458
4	ჭაბურღილის ლიცენზია	221	0	0	221
	ჯამი	151,781	0	0	151,781
	დაგროვილი ამორტიზაცია და გაუფასურება	ნაშთი 31.12.2023	წლიური ამორტიზაცია	გასული აქტივების დაგროვილი ამორტიზაცია	ნაშთი 31.12.2022
1	ლიცენზიები	97648	5654	0	91993
2	საბუღ. პროგ. "ორისი"	1219	65	0	1.154
3	სხვა პროგრამული უზრუნველყოფა	3443	0	0	3.443
4	ჭაბურღილის ლიცენზია	21	5		17
	ჯამი	102.330	5,724	0	96.607
	საბალანსო ღირებულება 31.12.2023	49.451			55.175

9. მარაგი

	დასახელება	ნაშთი 31.12.2023	ნაშთი 31.12.2022
1	ნედლეული და მასალები	9,947	9,904
2	მზა პროდუქცია	57,536	243,981
3	ჯართი	226,008	218,360
4	სხვა მარაგი	69,792	65,329
	ჯამი	363,283	537,574

10. სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

	დასახელება	ნაშთი 31.12.2023	ნაშთი 31.12.2022
1	სავაჭრო დებიტორები	105,979	121,621
2	გაუფასურების ზარალის თანხა	(103,539)	(103,539)
3	სავაჭრო დებიტორების საბალანსო ღირებულება	2,440	18,082
4	წინასწარი გადახდები	1,929	7426
5	წინასწარ გაწეული ხარჯები	13,559	5,644
6	მოთხოვნები დარიცხული პროცენტებიდან	222	28
	ჯამი:	18,150	31,181

**11. ფულადი სახსრები და ფულადი სახსრების
ეკვივალენტები**

	დასახელება	ნაშთი 31.12.2023	ნაშთი 31.12.2022
1	ფულადი სახსრები სალაროში	179	291
2	ფულადი სახსრები ბანკის მიმდინარე ანგარიშებზე - ლარი	153884	51,253
3	ფულადი სახსრები ბანკის მიმდინარე ანგარიშებზე - ლარი	119	115
4	მოკლევადიანი ვადიანი ანაზრები ბანკში-ლარი	50361	2324
	ჯამი:	204543	53,983

12. სავაჭრო და სხვა ვალდებულებები

	დასახელება	ნაშთი 31.12.2023	ნაშთი 31.12.2022
1	სავაჭრო ვალდებულებები	68,645	92831
2	წინასწარ მიღებული თანხები	1,353	4
	ჯამი:	69,998	92,835

13. საგადასახადო ვალდებულებები

	დასახელება	ნაშთი 31.12.2023	ნაშთი 31.12.2022
1	მოგების გადასახადი	12230	5
2	საშემოსავლო გადასახადი	33	20,217
3	დღგ	27949	13,015
4	ქონების გადასახადი		
5	ბუნებრივი რესურსების მოსაკრებელი	10314	11,083
	ჯამი:	50526	44,320

14. სხვა მოკლევადიანი ვალდებულებები

	დასახელება	ნაშთი 31.12.2023	ნაშთი 31.12.2022
1	გასაცემი დივიდენდები	280473	375,617
2	საპენსიო გადასახადი		749
3	ავანსებიდან ჩათვლილი დღგ		1068
	ჯამი:	280473	377,434

15. დაკავშირებულ მხარეებთან განხორციელებული ოპერაციები

2023 წელს უმაღლესი რანგის ხელმძღვანელი პირების ანაზღაურების (კომპენსაციის) მთლიანი თანხა **171,682 ლარი** (2022 წ. **169 889 ლარი**).

სხვა დაკავშირებული მხარეები და მათთან ოპერაციები კომპანიას არ გააჩნია

16. ფინანსური ანგარიშგების დამტკიცება

სამეთვალყურეო საბჭომ ფინანსური ანგარიშგება დამტკიცა და მისი გამოცემის ნებართვა გასცა 2023 წლის 29 აპრილს.

სს „არწივის ხეობა“-ს
დირექტორი:

გელა ბილაშვილი

29.04.2023 წ.





დამოუკიდებელი აუდიტორის
დასკვნა

სს „არწივის ხეობა“-ს
აქციონერებს

პირობითი მოსაზრება

ჩავატარეთ სს „არწივის ხეობა“-ს ფინანსური ანგარიშგების აუდიტი, რომელიც შედგება 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით მომზადებული ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებისგან, აღნიშნული თარიღით დამთავრებული წლის სრული შემოსავლის ანგარიშგების, საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგებისა და ფულადი ნაკადების ანგარიშგებისაგან, ასევე ფინანსურ ანგარიშგებაზე დართული შენიშვნებისგან, მათ შორის, ყველა მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მოკლე მიმოხილვისგან.

ჩვენი აზრით, ჩვენი დასკვნის - „პირობითი მოსაზრების საფუძველი“ - ნაწილში აღწერილი საკითხის გავლენით განპირობებული შესაძლო შედეგების გარდა, თანდართული ფინანსური ანგარიშგება, ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით, სამართლიანად ასახავს სს „არწივის ხეობა“-ს ფინანსურ მდგომარეობას 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, აგრეთვე მისი საქმიანობის ფინანსურ შედეგებსა და ფულადი სახსრების მოძრაობას იმ წლისთვის, რომელიც დასრულდა მოცემული თარიღით, მცირე და საშუალო საწარმოების ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად.

პირობითი მოსაზრების საფუძველი

როგორც ფინანსური ანგარიშგების N12 შენიშვნაშია აღწერილი 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით სს „არწივის ხეობა“-ს სავაჭრო ვალდებულებები 68 645 (სამოცდარვა ათას ექვსას ორმოცდახუთი) ლარია. აქედან 52 391 ლარი დაკავშირებულია 2022 წლის ოპერაციებთან. სს „არწივის ხეობა“-ს ფინანსური ანგარიშგების აუდიტისას ჩვენ ვერ შევძელით დაგვედასტურებინა ამ ნაშთის არსებობა. ამიტომ ვერ განვსაზღვრეთ, აუცილებელი იყო თუ არა ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში სავაჭრო ვალდებულებების მუხლში რაიმე კორექტირებების შეტანა.

აუდიტს წარვმართავდით აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების (ასს-ების) შესაბამისად. ამ სტანდარტებით განსაზღვრული ჩვენი პასუხისმგებლობები დეტალურად აღწერილია ჩვენი დასკვნის - „აუდიტორის პასუხისმგებლობა ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე“ - ნაწილში. ჩვენ დამოუკიდებლობები ვართ სს „არწივის ხეობა“-საგან იმ ეთიკური ნორმების შესაბამისად, რომლებიც ეხება ჩვენ მიერ ჩატარებულ ფინანსური ანგარიშგების აუდიტს საქართველოში; გარდა ამისა, შევასრულეთ ამ ნორმებით გათვალისწინებული სხვა ეთიკური ვალდებულებებიც. გვჯერა, რომ ჩვენ მიერ მოპოვებული აუდიტორული მტკიცებულებები საკმარისი და შესაფერისია ჩვენი მოსაზრების გამოთქმისთვის აუცილებელი საფუძვლის შესაქმნელად.

ხელმძღვანელობისა და მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელ პირთა პასუხისმგებლობა ფინანსურ ანგარიშგებაზე

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია თანდართული ფინანსური ანგარიშგების მომზადებასა და სამართლიან წარდგენაზე მცირე და საშუალო საწარმოების ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად, ასევე შიდა კონტროლზე, რომელსაც იგი აუცილებლად მიიჩნევს ისეთი ფინანსური ანგარიშგების მოსამზადებლად, რომელიც არ შეიცავს თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ არსებით უზუსტობას.

ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას ხელმძღვანელობას ევალება, შეაფასოს სს „არწივის ხეობა“-ს ფუნქციონირებადობის უნარი და, აუცილებლობის შემთხვევაში, ფინანსური ანგარიშგების შენიშვნებში განმარტოს საკითხები, რომლებიც დაკავშირებულია საწარმოს ფუნქციონირებადობასთან და ანგარიშგების საფუძვლად საწარმოს ფუნქციონირებადობის პრინციპის გამოყენებასთან, იმ შემთხვევის გარდა, როდესაც ხელმძღვანელობას განზრახული აქვს საწარმოს ლიკვიდაცია ან საქმიანობის შეწყვეტა, ან თუ არა აქვს სხვა რეალური არჩევანი, ასე რომ არ მოიქცეს.

მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელი პირები პასუხისმგებლები არიან სს „არწივის ხეობა“-ს ფინანსური ანგარიშგების მომზადებისა და წარდგენის პროცესის ზედამხედველობაზე.

აუდიტორის პასუხისმგებლობა ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე

ჩვენი მიზანია, მოვიპოვოთ დასაბუთებული რწმუნება იმის თაობაზე, მოცემული ფინანსური ანგარიშგება შეიცავს თუ არა თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ არსებით უზუსტობას და შევადგინოთ აუდიტორის დასკვნა, რომელიც მოიცავს ჩვენს მოსაზრებას. დასაბუთებული რწმუნება მაღალი დონის რწმუნებაა, მაგრამ არ არის იმის გარანტია, რომ ასს-ების შესაბამისად ჩატარებული აუდიტი ყოველთვის გამოავლენს ნებისმიერ არსებით უზუსტობას, რომელიც არსებობს. უზუსტობები შეიძლება გამოწვეული იყოს თაღლითობით ან შეცდომით და არსებითად მიიჩნევა იმ შემთხვევაში, თუ გონივრულ ფარგლებში, მოსალოდნელია, რომ ისინი, ცალ-ცალკე ან ერთობლივად, გავლენას მოახდენს იმ მომხმარებლების ეკონომიკურ გადაწყვეტილებებზე, რომლებიც დაეყრდნობიან მოცემულ ფინანსურ ანგარიშგებას.

ასს-ების შესაბამისად აუდიტის ჩატარება ითვალისწინებს აუდიტორის მიერ პროფესიული განსჯის გამოყენებას და პროფესიული სკეპტიციზმის შენარჩუნებას აუდიტის პროცესში. გარდა ამისა, ჩვენი:

- ვადგენთ და ვაფასებთ თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ, ფინანსური ანგარიშგების არსებითი უზუსტობის რისკებს; გვეგმავთ და ვატარებთ ამ რისკებზე რეაგირებისთვის გამიზნულ აუდიტორულ პროცედურებს და ვკრებთ ისეთ აუდიტორულ მტკიცებულებებს, რომლებიც საკმარისი და შესაფერისი იქნება ჩვენი მოსაზრების გამოთქმისთვის აუცილებელი საფუძვლის შესაქმნელად. რისკი იმისა, რომ ვერ გამოვლინდება თაღლითობით გამოწვეული არსებითი უზუსტობა უფრო მაღალია, ვიდრე რისკი იმისა, რომ ვერ გამოვლინდება შეცდომით გამოწვეული უზუსტობა, რადგან თაღლითობა შეიძლება გულისხმობდეს ფარულ შეთანხმებას, გაყალბებას, ოპერაციების განზრახ გამოტოვებას, აუდიტორისთვის წინასწარგანზრახულად არასწორი ინფორმაციის მიწოდებას ან შიდა კონტროლის იგნორირებას.
- შევისწავლით აუდიტისთვის შესაფერის შიდა კონტროლის საშუალებებს, რათა დავგვემოთ კონკრეტული გარემოებების შესაფერისი აუდიტორული პროცედურები და არა იმ მიზნით, რომ მოსაზრება გამოვთქვათ სს „არწივის ხეობა“-ს შიდა კონტროლის ეფექტიანობაზე.
- ვაფასებთ ხელმძღვანელობის მიერ გამოყენებული სააღრიცხვო პოლიტიკის მიზანშეწონილობას, ხელმძღვანელობის მიერ განსაზღვრული სააღრიცხვო შეფასებების დასაბუთებულობასა და შესაბამისი ახსნა-განმარტებების მართებულობას.
- დასკვნა გამოგვაქვს ხელმძღვანელობის მიერ ანგარიშგების საფუძვლად საწარმოს ფუნქციონირებადობის პრინციპის გამოყენების მიზანშეწონილობაზე, ხოლო მოპოვებულ აუდიტორულ მტკიცებულებებზე დაყრდნობით ვადგენთ, არსებობს თუ არა რაიმე მოვლენებთან ან პირობებთან დაკავშირებული არსებითი განუსაზღვრელობა, რაც მნიშვნელოვან ეჭვს გამოიწვევდა სს „არწივის ხეობა“-ს ფუნქციონირებადობის უნართან დაკავშირებით. თუ დავასკვნით, რომ არსებობს არსებითი განუსაზღვრელობა, გვევალება ჩვენს აუდიტორის დასკვნაში ყურადღების გამახვილება ფინანსური ანგარიშგების შესაბამის შენიშვნებზე, ან, თუ ამგვარი განმარტებითი შენიშვნები ადეკვატური არ არის - ჩვენი მოსაზრების მოდიფიცირება. ჩვენი დასკვნები ეყრდნობა აუდიტორის დასკვნის თარიღამდე მოპოვებულ აუდიტორულ მტკიცებულებებს. თუმცა, ამის შემდგომი მომავალი მოვლენების ან პირობების გავლენით შეიძლება სს „არწივის ხეობა“ უკვე აღარ იყოს ფუნქციონირებადი საწარმო.
- ვაფასებთ ფინანსური ანგარიშგების წარდგენას მთლიანობაში, მის სტრუქტურასა და შინაარსს, მათ შორის, ახსნა-განმარტებებს და ასევე, ფინანსური ანგარიშგება უზრუნველყოფს თუ არა ფინანსური ანგარიშგების საფუძვლად აღებული ოპერაციებისა და მოვლენების სამართლიან წარდგენას.

მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელ პირებს, სხვასთან ერთად, ინფორმაციას ვაწვდით აუდიტის დაგეგმილი მასშტაბისა და ვადების, ასევე აუდიტის პროცესში წამოჭრილი მნიშვნელოვანი საკითხების, მათ შორის, შიდა კონტროლის სისტემაში გამოვლენილი მნიშვნელოვანი ნაკლოვანებების შესახებ.

ამასთან, მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელ პირებს გადავცემთ დოკუმენტს, სადაც ვადასტურებთ, რომ დავიცავით დამოუკიდებლობასთან დაკავშირებული შესაფერისი ეთიკური ნორმები და ხელმძღვანელობას ვაცნობთ ყველა ურთიერთობისა და სხვა საკითხების შესახებ, რომლებიც, გონივრულ ფარგლებში, შეიძლება მიჩნეულიყო, რომ დაკავშირებულია ჩვენს დამოუკიდებლობასთან, ასევე შესაბამისი დამცავი ზომების შესახებ, აუცილებლობის შემთხვევაში.

აუდიტორი

თ. ცუხიშვილი



თარიღი: 29.04.2024 წ.



საქვოსაზოგადოება
„არწივის ხეობა,,

ფინანსური ანგარიშგება საანგარიშო წლისთვის, რომელიც დასრულდა

2023 წლის 31 დეკემბერს

შინაარსი:

1. ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობის ანგარიში
2. დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა
3. სრული შემოსავლის ანგარიშგება
4. ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება
5. საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგება
6. ფულადი ნაკადების ანგარიშგება
7. ფინანსურ ანგარიშგებაში გამოყენებული სააღრიცხვო პოლიტიკა და განმარტებითი შენიშვნები

ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობის ანგარიში 2023 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის წარმოდგენილი ფინანსური ანგარიშგების მომზადებასა და დამტკიცებაზე

ეს ანგარიში, რომლის წაკითხვა უნდა მოხდეს დამოუკიდებელი აუდიტორის მე-2 გვერდზე წარმოდგენილ პასუხისმგებლობებთან ერთად, განსაზღვრულია სააქციო საზოგადოება „არწივის ხეობა“-ს ფინანსურ ანგარიშგებასთან მიმართებაში ხელმძღვანელობის და დამოუკიდებელი აუდიტორის შესაბამისი პასუხისმგებლობების გამიჯვნის თვალსაზრისით.

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია „არწივის ხეობა“-ს ფინანსური ანგარიშგების მომზადებაზე, რომელიც სამართლიანად ასახავს ფინანსურ მდგომარეობას 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, მის მიერ წარმოებული ოპერაციების შედეგებს, ფულადი სახსრების მოძრაობასა და კაპიტალში ცვლილებებს ამავე თარიღით დასრულებული წლისათვის, მცირე და საშუალო საწარმოთა ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტის („მსს ფასს“) შესაბამისად.

ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია:

- მართებული ბუღალტრული პრინციპების არჩევასა და მათ თანმიმდევრულ გამოყენებაზე;
- გონივრულ მსჯელობაზე და შეფასებებზე;
- განცხადებაზე, არის თუ არა ფინანსური ანგარიშგება მომზადებული მსს ფასს-ის მიხედვით და მნიშვნელოვანი გადახრები მსს ფასს-დან წარმოდგენილი და ახსნილი;
- ფინანსური ანგარიშგების მომზადებაზე ფუნქციონირებადი საწარმოს პრინციპის დაცვით თუ შეუსაბამო არაა ვარაუდი, რომ პროგნოზირებად მომავალში „არწივის ხეობა“-ს ბიზნესის ფუნქციონირებას საფრთხე არ ემუქრება.

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია:

- „არწივის ხეობა“-ს ეფექტიანი შიდა კონტროლის სისტემის შემუშავებაზე, დანერგვასა და შენარჩუნებაზე;
- ისეთი ბუღალტრული ჩანაწერების წარმოებაზე, რომელიც ნებისმიერ დროს, გონივრული სიზუსტით წარმოადგენს „არწივის ხეობა“-ს ფინანსურ მდგომარეობას და იძლევა რწმუნებას, რომ მისი ფინანსური ანგარიშგება შეესაბამება მსს ფასს-ის მოთხოვნებს;
- სავალდებულო საბუღალტრო ჩანაწერების წარმოებაზე საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად;
- „არწივის ხეობა“-ს აქტივების უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად საჭირო ქმედებების გახორციელებაზე;
- თაღლითობისა და სხვა დარღვევების აღმოჩენასა და თავიდან აცილებაზე.

ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, ხელმძღვანელობის მიერ დამტკიცდა გამოსაშვებად 2024 წლის 29 აპრილი

სს „არწივის ხეობა“-ს დირექტორი




გელა ბილაშვილი

სრული შემოსავლის ანაგარიშგება
2023 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის

		31.12.2023	31.12.2022
ამონაგები	4	2,177,469	2,240,397
გაყიდვითი საქონლის თვითღირებულება		(1,120,510)	(1,187,140)
საერთო მოგება		1,056,959	1,053,257
სხვა შემოსავლები	5	1,673	1,574
ადმინისტრაციული ხარჯები		(288,142)	(302,492)
სხვა ხარჯები	6	(48,300)	(33,435)
მოგება დაბეგვრამდე		722,190	732,505
საგადასახადო ხარჯი		(135,316)	(109,748)
საანგარიშო პერიოდის წმინდა მოგება-ზარალი		586,874	622,757
გადაფასების მოდელით შეფასებული ძირითადი საშუალებების გადაფასების ნამეტის ზრდა		350,208	
გადაფასების მოდელით შეფასებული ძირითადი საშუალებების გადაფასების ნამეტის შემცირება		(21,715)	
მთლიანი სრული შემოსავალი		915, 367	


სს „არწივის ხეობა“-ს დირექტორი



გელა ბილაშვილი

**ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება
2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით**

		31.12.2023	31.12.2022	01.01.2022
აქტივები				
გრძელვადიანი აქტივები				
ძირითადი საშუალებები	7	2,275,020	2,133,063	2,201,542
მიწა		613,400	560,800	560,800
არამატერიალური აქტივები	8	49,451	55,175	63,148
ბიოლოგიური აქტივები		2,300	2300	2,300
სულ გრძელვადიანი აქტივი		<u>2,940,171</u>	<u>2,751,338</u>	<u>2,827,790</u>
მიმდინარე აქტივები				
მარაგი	9	363283	537,574	363,489
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	10	18150	31,181	27,916
საგადასახადო მოთხოვნები		862.15	1,001	
ფულადი სახსრები და ექვივალენტები	11	204543	53,983	64,811
სულ მიმდინარე აქტივები		<u>586838</u>	<u>623,739</u>	<u>456,216</u>
სულ აქტივები		<u>3,527,009</u>	<u>3,375,077</u>	<u>3,284,006</u>
საკუთარი კაპიტალი და ვალდებულებები				
საკუთარი კაპიტალი				
სააქციო კაპიტალი		410,770	410,770	410,770
რეზერვები		2059857	1,769,875	1,807,605
გაუნაწილებელი მოგება-ზარალი		655387	679,842	1,003,372
სულ საკუთარი კაპიტალი		<u>3,126013</u>	<u>2,860,487</u>	<u>3,221,747</u>
მოკლევადიანი ვალდებულებები				
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	12	69998	92,235	15,001
საგადასახადო ვალდებულებები	13	50526	48,059	11,332
ვალდებულებები პერსონალის წინაშე		-	-	
სხვა მოკლევადიანი ვალდებულებები	14	280473	377434	35,926
სულ მოკლევადიანი ვალდებულებები		<u>400,997</u>	<u>514,589</u>	<u>62,259</u>
სულ საკუთარი კაპიტალი და ვალდებულებები		<u>3,527,009</u>	<u>3,375,077</u>	<u>3,284,006</u>
სს „არწივის ხეობა“-ს დირექტორი		გელა ბიღიაშვილი		



ფულადი ნაკადების ანგარიშგება
2023 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის

ფულადი ნაკადების ანგარიშგება პირდაპირი მეთოდით

31.12.2023

31.12.2022

ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან

საქონლის გაყიდვიდან და მომსახურების გაწევიდან

2,584,268

2,621,024

მიღებული ფულადი სახსრები

საქონლისა და მომსახურების მომწოდებელთათვის

(585,675)

(869,949)

გადახდილი ფულადი სახსრები

დაქირავებულ პირთათვის და მათი სახელით

(6,011,55)

(709,124)

გადახდილი ფულადი სახსრები

ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან

1,397,439

1,041,951

გადახდილი მოგების გადასახადი

(1,35,316)

(109,577)

გადახდილი სხვა გადასახადები

(345,665)

(322,313)

ფულადი სახსრების ნაკადები განსაკუთრებულ მუხლებამდე

916458

610,061

წმინდა ფულადი სახსრები საოპერაციო საქმიანობიდან

916458

610,061

ფულადი ნაკადები საინვესტიციო საქმიანობიდან

ძირითადი საშუალებების, არამატერიალური და სხვა გრძელვადიანი აქტივების შესაძენად გადახდილი ფულადი სახსრები

(2,525)

(5,957)

ძირითადი საშუალებების, არამატერიალური და სხვა გრძელვადიანი აქტივების გაყიდვიდან მიღებული ფულადი სახსრები

1,000

საინვესტიციო საქმიანობისათვის გამოყენებული წმინდა ფულადი სახსრები

(2525)

(4,957)

ფულადი ნაკადები საფინანსო საქმიანობიდან

მიღებული პროცენტები

1,378

4,324

გაცემული დივიდენდები

(764,755)

(620,937)

საფინანსო საქმიანობისათვის გამოყენებული წმინდა ფულადი სახსრები

(763,377)

(616,612)

ფულადი სახსრების და მათი ექვივალენტების წმინდა ზრადა/შემცირება

150,556

(11,509)

სავალუტო გადაფასების შემოსავალი

4

681

ფულადი სახსრები და ექვივალენტები

53,983

64,811

საანგარიშგებო პერიოდის დასაწყისისათვის

ფულადი სახსრები და ექვივალენტები

11


204,543

53,983

საანგარიშგებო პერიოდის ბოლოსათვის

სს „არწივის ხეობა“-ს დირექტორი

გელა ბილიაშვილი



საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგება

2023 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის

	საწესდებო კაპიტალი	გადაფასების რეზერვი	გაუნაწილებელი მოგება	სულ	
31.12.2021 წაშთი შემდგომ	410,770	1,80,7605	1,003,372	3,221,747	
წმინდა მოგება/ზარალი	0,00		622,757	622,757	
რეზერვის შემცირება		(37,729)	36,927	(802)	სს „არწივის ხეობა“- ს დირექტორი
დივიდენდები			(983,214)	(983,214)	
31.12.2022 წაშთი	410,770	1,769,875	679,842	2,860,487	გელა ბილიაშვილი
წმინდა მოგება/ზარალი	0,00		586,874	586,874	
ძირითადი საშუალებების გადაფასების შედეგი		328,493		328493	
რეზერვის შემცირება		(38,512)	38,512	0	
დივიდენდები			(649842)	(649,842)	
31.12.2023 წაშთი	410,770	2,059,857	655,387	3,126,013	

1. ზოგადი ინფორმაცია

სს „არწივის ხეობა“ რეგისტრირებულია საქართველოში 1996 წლის 30 აგვისტოს. რეგისტრაციის N60/5-245

საიდ. კოდი 228518805. იურიდიული მისამართია საქართველო დედოფლისწყარო. კომპანიის ძირითად საქმიანობას წარმოადგენს სასარგებლო წიაღისეულის მოპოვება.

კომპანია დააფუძნა 53 აქციონერმა. 2022 წლის 1 იანვრის მდგომარეობით „არწივის ხეობას“ ყავს 45 აქციონერი. გამოშვებული და მთლიანად ანაზღურებულია 41 077 აქცია ათლარიანი ნომინალური ღირებულებით. 2023 წელს აქციონერთა რეესტრში ცვლილება არ განხორციელებულა.

2006 წლის ივნისში კომპანიამ სახელმწიფოსგან 25 წლიანი იჯარით აიღო დედოფლისწყაროს რაიონ სოფელ წითელწყაროში 80 ჰექტარი სასოფლო-სამეურნეო მიწის ნაკვეთი. აღნიშნულ ტერიტორიაზე კომპანია ანხორცილებს საცემენტე კირქვის მოპოვებას 2008 წლის ივნისში აღებული ლიცენზიის

საფუძველზე.

ფინანსური ანგარიშგების მომზადების ეტაპზე საწარმოო ბაზა და ოფისი განთავსებულია დედოფლისწყაროს რაიონში სოფელ ხორნაბუჯში.

კომპანიის ძირითადი საქმიანობა არის ბუნებრივი რესურსების (ქვიშა-ხრეშის) მოპოვება და გადამუშავება.

კომპანიის საქმიანობა ხორციელდება საქართველოს ტერიტორიაზე. შესაბამისად, დამოკიდებულია საქართველოს ეკონომიკურ და ფინანსურ ბაზრებზე, რომლებიც წარმოადგენენ განვითარებადი ქვეყნების ბაზრებს. სამართლებრივი, საგადასახადო და მარეგულირებელი ბაზები ჯერ კიდევ ვითარდება და განიცდის სხავდასხვა ინტერპრეტაციებსა და ცვლილებებს მათი სრულყოფის მიმართულებით.

საწარმო ფულადი სახსრების ძირითად ნაწილს გამოიმუშავებს და ხარჯავს საქართველოში, რომელიც წარმოადგენს მის ძირითადი ეკონომიკური გარემოს. შესაბამისად, საწარმოს სამუშაო ვალუტა და ფინანსური ანგარიშგების წარსადგენი ვალუტაა ქართული ლარი.

ფინანსური ანგარიშგება არის ერთი საწარმოს ანგარიშგება 2023 წლის პირველი იანვრით დაწყებული და 31 დეკემბრით დასრულებული საანგარიშგებო პერიოდისათვის. ფინანსური ანგარიშგების თანხები დამრგვალებულია ერთეულამდე სიზუსტით.

2. მომზადების საფუძველი

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს მიერ გამოცემული მცირე და საშუალო საწარმოთა ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტის შესაბამისად.

კომპანიის წლიური ფინანსური ანგარიშგების მომზადება ემყარება ფუნქციონირებადობისა და დარიცხვის მეთოდის ძირითად დაშვებებს. კომპანიის მენეჯმენტს სჯერა, რომ ფუნქციონირებადობის დაშვება შესაბამისია კომპანიისათვის.

3. არსებითი სააღრიცხვო პოლიტიკა

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგების მის ფასს სტანდარტის საფუძველზე მოსამზადებლად განისაზღვრა შესაბამისი სააღრიცხვო პოლიტიკა. ქვემოთ მოცემულია ფინანსური ანგარიშგების მოსამზადებლად გამოყენებული სააღრიცხვო პოლიტიკა. იგი თანმიმდევრულად არის გამოყენებული ამ ფინანსურ ანგარიშგებაში წარმოდგენილ ყველა პერიოდთან მიმართებაში.

(ა) ამონაგების აღიარება

ამონაგების შეფასება ხდება მიღებული ან მისაღები ანაზღაურების რეალური ღირებულებით. იგი არ მოიცავს გაცემულ ყველანაირ სავაჭრო ფასდათმობას, ასევე ვადაზე ადრე გადახდის და პარტიის მოცულობაზე დამოკიდებულ ფასდათმობებს. ამონაგებში ჩართულია მხოლოდ საკუთარი სახელით მიღებული ან მისაღები ეკონომიკური სარგებლის მთლიანი თანხა.

პროცენტი აღიარდება ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდით.

(ბ) მოგების გადასახადი

მიმდინარე საგადასახადო ვალდებულება (აქტივი) ფასდება იმ თანხით, რომლის გადახდა (ანაზღაურება) მოსალოდნელია საანგარიშგებო თარიღისთვის ძალაში შესული საქართველოს საგადასახადო კოდექსით (სსკ) განსაზღვრული საგადასახადო განაკვეთისა დაბეგვრის პრინციპების გათვალისწინებით.

სსკ-ის მიხედვით საწარმოსათვის მოგების გადასახადით დაბეგვრის ობიექტია: განაწილებული მოგება; გაწეული ხარჯი ან სხვა გადახდა, რომელიც ეკონომიკურ საქმიანობასთან დაკავშირებული არ არის; უსასყიდლოდ საქონლის მიწოდება/მომსახურების გაწევა ან/და ფულადი სახსრების გადაცემა; კოდექსით დადგენილ ზღვრულ ოდენობაზე მეტი ოდენობით გაწეული წარმომადგენლობითი ხარჯი.

მოგების გადასახადით დაბეგვრის ობიექტი, დივიდენდის სახით განაწილებული მოგების გარდა, იბეგრება დაბეგვრის ობიექტის წარმოშობისთანავე და საგადასახადო ვალდებულება აღიარდება ყოველი საანგარიშგებო თვის ბოლოს. საწარმოს მიერ მის პარტნიორზე დივიდენდის სახით გასანაწილებელ დივიდენდთან დაკავშირებული მიმდინარე საგადასახადო ვალდებულება ფასდება გაუნაწილებელი მოგების მიმართ გამოსაყენებელი საგადასახადო განაკვეთით მანამ, სანამ საწარმო აღიარებს დივიდენდების გადახდის ვალდებულებას.

(გ) ოპერაციები უცხოურ ვალუტაში

უცხოური ვალუტით წარმოებული ოპერაციები თავდაპირველი აღიარებისას აისახება სამუშაო ვალუტით, რისთვისაც უცხოურ ვალუტაში გამოსახული თანხის მიმართ გამოიყენება უცხოური ვალუტის სამუშაო ვალუტაზე გასაცვლელი სპოტ სავალუტო კურსი, ოპერაციის თარიღისათვის.

ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს, უცხოური ვალუტით შეფასებული ფულადი მუხლები ფასდება საბოლოო სავალუტო კურსის გამოყენებით.

საკურსო სხვაობები, რომლებიც წარმოიშობა ფულადი მუხლების საბოლოო ანგარიშსწორების ან ფულადი მუხლების გადაყვანის დროს ისეთი სავალუტო კურსით, რომელიც განსხვავდება მოცემულ პერიოდში ან წინა პერიოდების ფინანსურ ანგარიშგებაში თავდაპირველი აღიარების დროს გადასაყვანად გამოყენებული სავალუტო კურსისაგან, აღიარდება მოგებაში ან ზარალში იმ საანგარიშგებო პერიოდში, როდესაც წარმოიშობა.

(დ) ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები

ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები შედგება ხელთ არსებული ბანკნოტებისა და მონეტებისგან და ბანკებში არსებული შეუზღუდავი მიმდინარე ანგარიშებისაგან.

(ე) მარაგი

მარაგის შეფასება ხდება თვითღირებულებასა და შეფასებით გასაყიდ ფასს შორის უმცირესი თანხით, რომელსაც გამოკლებული აქვს პროდუქციის დასრულებისა და გაყიდვისთვის საჭირო დანახარჯები.

მარაგის ღირებულების შემცირების თანხა წარმოადგენს გაუფასურების ზარალს და დაუყოვნებლივ აღიარდება მოგებაში ან ზარალში. მომდევნო საანგარიშგებო თარიღისთვის

მარაგის შეფასების დროს თუ მარაგის დასრულებისა და გაყიდვისთვის საჭირო დანახარჯებით შემცირებული გასაყიდი ფასი გაიზრდება, მოხდება გაუფასურების თანხის აღდგენა (უკუგატარებით) იმგვარად, რომ ახალი საბალანსო ღირებულება იყოს უმცირესი, თვითღირებულებასა და მისი დასრულებისა და გაყიდვისთვის საჭირო დანახარჯებით შემცირებულ, შესწორებულ გასაყიდი ფასს შორის.

როდესაც მარაგი გაიყიდება, მისი საბალანსო ღირებულება აღიარდება იმ პერიოდის ხარჯად, როდესაც მიღებულ იქნა შესაბამისი ამონაგები.

გახარჯული მარაგის თვითღირებულების განსაზღვრისთვის გამოიყენება „პირველი შემოსავალში - პირველი გასავალში“ (ფიფო) მეთოდი.

(ვ) დივიდენდები

დივიდენდები აღიარდება მაშინ, როდესაც ძალაში შევა საწარმოს უფლება დივიდენდების მიღების შესახებ.

(ზ) იჯარა

იჯარა კლასიფიცირდება ფინანსურ იჯარად, თუ იგი ითვალისწინებს აქტივის საკუთრებასთან დაკავშირებული ფაქტობრივად ყველა რისკისა და ეკონომიკური სარგებლის გადაცემას საწარმოსათვის. ყველა სხვა იჯარა კლასიფიცირდება ჩვეულებრივ (საოპერაციო) იჯარად.

ფინანსური იჯარით ფლობილ აქტივებზე უფლებები აღიარდება, როგორც საწარმოს აქტივები, იჯარით აღებული ქონების რეალური ღირებულების ტოლი თანხით (ან, თუ მასზე ნაკლებია, მინიმალური საიჯარო გადასახდელების დისკონტირებული ღირებულებით), რომელიც განისაზღვრება იჯარის დასაწყისში. მეიჯარის მიმართ შესაბამისი ვალდებულება აისახება ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში, როგორც ფინანსური იჯარის ვალდებულება. საიჯარო გადასახდელები ნაწილდება დარიცხულ ფინანსურ ხარჯებსა და საიჯარო ვალდებულების შემცირებას შორის ისე, რომ წარმოიქმნება მუდმივი საპროცენტო განაკვეთი ვალდებულების დაუფარავი ნაშთის მიმართ. დარიცხული ფინანსური ხარჯები აკლდება მოგების ან ზარალის შეფასებას. ფინანსური იჯარით ფლობილი აქტივები ჩაირთვება ძირითად საშუალებებში და მათაც ისევე დაერიცხება ცვეთა და ისევე ხდება მათი გაუფასურების ზარალის შეფასება, როგორც საწარმოს საკუთრებაში არსებული აქტივებისთვის.

ჩვეულებრივი იჯარის ფარგლებში გადასახდელი საიჯარო გადასახდელები აისახება მოგებაში, ან ზარალში წრფივი მეთოდით, შესაბამისი იჯარის ვადის განმავლობაში.

ფინანსური იჯარის ხელშეკრულებით საწარმოს განკარგულებაში არსებული აქტივები აღიარდება და ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში აისახება მოთხოვნის სახით, წმინდა საიჯარო ინვესტიციის ტოლი თანხით. საანგარიშგებო პერიოდის საიჯარო გადასახდელები ასახავს როგორც ძირითად თანხის, ისე გამოუმუშავებელი ფინანსური შემოსავლის შემცირებას და ნაწილდება მათ შორის ისე, რომ ფინანსური შემოსავლის აღიარება ასახავდეს ფინანსურ იჯარაში საწარმოს წმინდა საიჯარო ინვესტიციებიდან უკუგების მიღების მუდმივ პერიოდულ განაკვეთს.

ჩვეულებრივი იჯარის ფარგლებში საწარმოს მიერ მიღებული საიჯარო შემოსავალი აღიარდება

მოგებაში ან ზარალში წრფივი მეთოდით,

(თ) ძირითადი საშუალებები

ძირითადი საშუალებების შეფასება ხდება მისი თვითღირებულებიდან დაგროვილი ცვეთისა და დაგროვილი გაუფასურების ზარალის გამოკლების შედეგად მიღებული თანხით.

აქტივების ნარჩენი ღირებულებით შემცირებული თვითღირებულების მისი სავარაუდო სასარგებლო მომსახურების ვადაზე განაწილების მიზნით, ცვეთის დარიცხვა ხდება წრფივი მეთოდის გამოყენებით. ძირითად საშუალებებზე ცვეთის დასარიცხად გამოიყენება შემდეგი წლიური განაკვეთები:

➤ შენობა-ნაგებობები	5%
➤ მანქანა-დანადგარები	10-15%
➤ საოფისე აღჭურვილობა	20-30%
➤ ავეჯი და მოწყობილობები	14-20%
➤ სატრანსპორტო	10-20%
➤ სხვა ძირითადი	5-20%

თუ არსებობს რაიმე მინიშნება, რომ ცვეთის განაკვეთებში, აქტივის სასარგებლო მომსახურების ვადაში ან ნარჩენ ღირებულებაში მოხდა რაიმე მნიშვნელოვანი ცვლილება, მოხდება აქტივის ცვეთის გადახედვა და კორექტირება, რათა ასახოს მიმდინარე შეფასებები აქტივის მოსალოდნელ გამოყენებასთან დაკავშირებით. ძირითადი საშუალებების მიმდინარე მომსახურების ხარჯების აღიარება ხდება მოგებაში ან ზარალში მათი გაწვევითანავე.

შენობა-ნაგებობები, მანქანა-დანადგარები და სატრანსპორტო საშუალებები ფინანსურ ანგარიშგებაში აისახება გადაფასებული ღირებულებით, შემდგომში დაგროვილი ცვეთისა და დაგროვილი გაუფასურების ზარალის თანხების გამოკლებით.

თუ გადაფასების შედეგად აქტივის საბალანსო ღირებულება იზრდება, ნამეტი აღიარდება სხვა სრულ შემოსავალში, და გროვდება საკუთარი კაპიტალის განყოფილებაში „გადაფასების ნამეტის“ სახით.

თუ გადაფასების შედეგად აქტივის საბალანსო ღირებულება მცირდება, შემცირების თანხა აღიარდება მოგებაში ან ზარალში. თუმცა, სხვა სრულ შემოსავალში აღიარდება გადაფასებიდან მიღებული შემცირების თანხა იმ ოდენობით, რა სიდიდის საკრედიტო ნაშთიც არსებობს გადაფასების ნამეტში ამ აქტივთან დაკავშირებით. ანალოგიურად , გადაფასების შემცირებად განიხილება გადაფასებულ აქტივთან დაკავშირებული ნებისმიერი გაუფასურების ზარალი

თუ არსებობს რაიმე ნიშანი იმისა, რომ ცვეთის ნორმა, აქტივის სასარგებლო მომსახურების ვადა, ან ნარჩენი ღირებულება მნიშვნელოვნად შეიცვალა, ახალი მოლოდინის ასახვის მიზნით, მოცემული აქტივის ცვეთა შესწორდება პერსპექტიულად.

ძირითადი საშუალების აღიარების შეწყვეტის შედეგად წარმოქმნილი შემოსულობა ან ზარალი (სხვაობა ძირითადი საშუალების გასვლის შედეგად წარმოქმნილ წმინდა შემოსულობასა და მის საბალანსო ღირებულებას შორის) აღიარდება პერიოდის მოგებაში ან ზარალში და კლასიფიცირდება სხვა შემოსავლის ან სხვა ხარჯის სახით.

(ი) არამატერიალური აქტივები

არამატერიალური აქტივის შეფასება ხდება თვითღირებულებით, დაგროვილი ამორტიზაციისა და დაგროვილი გაუფასურების ზარალის გამოკლებით.

არამატერიალურ აქტივებს, ცვეთადი ღირებულების სისტემატურ საფუძველზე განაწილების მიზნით, სასარგებლო მომსახურების ვადის განმავლობაში ერიცხებათ ამორტიზაცია წრფივი მეთოდით. ამორტიზაციის დასარიცხად გამოიყენება წლიური განაკვეთი 15 პროცენტი .

თუ არსებობს არამატერიალური აქტივის ნარჩენი ღირებულების ან მისი სასარგებლო მომსახურების ვადის შეცვლის რაიმე ნიშნები, აქტივის ნარჩენი ღირებულების, ამორტიზაციის მეთოდის ან სასარგებლო მომსახურების ვადის ცვლილება შესწორდება პერსპექტიულად.

(ვ) აქტივების გაუფასურება

ყოველი საანგარიშგეო თარიღისათვის ტარდება ძირითადი საშუალებების (რომელიც აღრიცხული არ არის გადაფასების მოდელის შესაბამისად) არამატერიალური აქტივების, განხილვა, რათა დადგინდეს, არსებობს თუ არა რაიმე ნიშანი იმისა, რომ აღნიშნული აქტივები გაუფასურებულია. იმ შემთხვევაში, თუ არსებობს შესაძლო გაუფასურების ნიშანი, შეფასდება ნებისმიერი აქტივის (ან დაკავშირებულ აქტივთა ჯგუფის) ანაზღაურებადი ღირებულება და შეუდარდება მის საბალანსო ღირებულებას. თუ შეფასებული ანაზღაურებადი ღირებულება ნაკლებია, საბალანსო ღირებულება შემცირდება მის ანაზღაურებად ღირებულებამდე, ხოლო გაუფასურების ზარალი დაუყოვნებლივ აღიარდება მოგებაში ან ზარალში.

იმ შემთხვევაში, თუ შემდგომში მოხდება გაუფასურების ზარალის აღდგენა/კომპენსირება, აქტივის (ან მსგავსი აქტივების ჯგუფის) საბალანსო ღირებულება გაიზრდება აქტივის ანაზღაურებადი ღირებულების (მარაგის შემთხვევაში - პროდუქციის დასრულებისა და გაყიდვისთვის საჭირო დანახარჯებით შემცირებული სარეალიზაციო ფასის) შესწორებულ შეფასებულ სიდიდემდე, მაგრამ არ გაიზრდება იმ თანხაზე მეტად, რომელიც განისაზღვრებოდა იმ შემთხვევაში, თუ წინა წლებში არ მოხდებოდა აქტივის (ან მსგავსი აქტივების ჯგუფის) გაუფასურების ზარალის აღიარება. გაუფასურების ზარალის აღდგენის (კომპენსირების) თანხა დაუყოვნებლივ აღიარდება მოგებაში ან ზარალში.

(ლ) სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

მომხმარებელზე მოკლევადიანი საკრედიტო პირობებით საქონლის მიყიდვიდან წარმოქმნილი მოთხოვნა აღიარდება ამ პირისგან მისაღები ფულადი სახსრების არადისკონტირებული ღირებულებით, გაუფასურების (თანხის ამოღების შეუძლებლობა) გათვალისწინებით.

მომხმარებელზე ბიზნესის ჩვეულებრივი პირობებისგან განსხვავებული პირობებით უპროცენტო კრედიტით საქონლის მიყიდვიდან წარმოქმნილი მოთხოვნა აღიარდება ამ საქონლის ნაღდი ანგარიშსწორებით გასაყიდი მიმდინარე ფასით და საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს ფასდება ამორტიზებული ღირებულებით, ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდით, გაუფასურების (თანხის ამოღების შეუძლებლობა) გათვალისწინებით.

(მ) სავაჭრო ვალდებულებები

მომწოდებლისგან მოკლევადიანი საკრედიტო პირობებით საქონლის შეძენიდან წარმოშობილი ვალდებულება აღიარდება მომწოდებლისთვის გადასახდელი დავალიანების არადისკონტირებული ღირებულებით.

უცხოურ ვალუტაში გამოსახულ მიწოდებიდან და მომსახურებიდან წარმოქმნილი ვალდებულების ნებისმიერი ცვლილება, რომელიც გამოწვეულია სავალუტო კურსის ცვლილებით, აღიარდება მოგებაში ან ზარალში

(ნ) დაქირავებულ პირთა მოკლევადიანი გასამრჯელოები

დაქირავებულ პირთა ყველა სახის მოკლევადიან გასამრჯელოსთან დაკავშირებული დანახარჯი, რომლის მიღების უფლებაც დაქირავებულმა პირებმა მოიპოვეს საანგარიშგებო პერიოდში გაწეული მომსახურების სანაცვლოდ, აღიარდება როგორც ვალდებულება და როგორც ხარჯი (გარდა იმ დანახარჯისა, რომელიც აღიარდება მარაგის, ძირითადი საშუალებების ან სხვა აქტივის თვითღირებულებაში).

საანგარიშგებო პერიოდის განმავლობაში, საწარმოს მიერ მოკლევადიანი გასამრჯელოს სახით აღიარებული თანხები ფასდება დაქირავებული პირის იმ მოკლევადიანი გასამრჯელოების არადისკონტირებული სიდიდით, რომელიც გადასახდელია დაქირავებულის მიერ გაწეული ზემოაღნიშნული მომსახურების სანაცვლოდ.

დაგროვებადი ანაზღაურებადი შვებულებების მოსალოდნელი ღირებულება ფასდება, როგორც არადისკონტირებული დამატებითი თანხა, რომლის გადახდასაც საწარმო ვარაუდობს იმ გამოუყენებელი უფლებისათვის, რომელიც დაგროვდა საანგარიშგებო პერიოდის ბოლოსთვის.

4. ამონაგები

	დასახელება	ნაშთი 31.12.2023	ნაშთი 31.12.2022
1	საქონლის გაყიდვა	2,177,469	2,160,848
2	სხვა მარაგის გაყიდვა		79,549
	ჯამი	2,177,469	2,240,397

5. სხვა შემოსავლები

	დასახელება	ნაშთი 31.12.2023	ნაშთი 31.12.2022
1	საპროცენტო შემოსავლები	1,571	4,076
2	შემოსავლები მეორადი სათადარიგო ნაწილებიდან		9,886
3	სხვა არასაოპერაციო შემოსავლები	102	1,041
4	შემოსავალი ძირითადი საშუალების რეალიზაციიდან		172
	ჯამი	1673	15,174

6. სხვა ხარჯები

(ლარი)

	დასახელება	ნაშთი 31.12.2023	ნაშთი 31.12.2022
1	ძირითადი საშუალებების ჩამოწერის ხარჯი	-	24,822
2	სხვა არასაოპერაციო ხარჯი	3055	8,613
3	ძირითადი საშუალების გადაფასების ზარალი	45245	
	ჯამი:	48,300	33,435

7. ძირითადი საშუალებები

ბალანსში რეალური ღირებულების მოდელით ასახული ძირითადი საშუალებები

დასახელება	დაუმთავრებელი შენიშვნა და მოყვანილობა	შენიშვნა ნაგებობა	მანქანა დანადგარები	სატრანსპორტო საშუალებები	სულ
გადაფასებული ღირებულება					
ნაშთი: 31.12.2022	<u>7,126</u>	<u>474,155</u>	706,766	<u>1,067,967</u>	<u>2,256,013</u>
აქტივების შეძენა			9,492		<u>9,492</u>
აქტივების გასვლა/რეკლასიფიკაცია	(7,126)			(4,463)	<u>(11,589)</u>
არსებული ცვთის გაუქმება გადაფასების შედეგად 31.12.,2023		(45200)	(80034)	(103150)	<u>(228,384)</u>
გადაფასება 31.12.2023		102293	107011	<u>21346</u>	<u>230,649</u>
ნაშთი: 31.12.2023	<u>0</u>	<u>531,247</u>	<u>743,235</u>	<u>981,700</u>	<u>2,256,182</u>
დაგროვილი ცვეთა და გაუფასურება					
ნაშთი: 31.12.2022		<u>29,807</u>	<u>52,419</u>	<u>61,128</u>	<u>143,354</u>
წლიური ცვეთა		15,669	27,615	42,021	<u>85,305</u>
გაუფასურება					
გასული აქტივების დაგროვილი ცვეთა					
არსებული ცვთის გაუქმება გადაფასების შედეგად 31.12.2023		(45,200)	(80,034)	(103,149)	<u>(228,383)</u>
ნაშთი: 31.12.2023					
საბალანსო ღირებულება 31.12.2022	7,126	444,348	654,347	1,006,839	<u>2,112,659</u>
საბალანსო ღირებულება 31.12.2023	0	531,246	743,235	981,700	<u>2,256,181</u>

ძირითადი საშუალებების ცვეთა დარიცხულია წრფივი მეთოდით, შენობა-ნაგებობები, მანქანა-დანადგარები და სატრანსპორტო საშუალებები ბალანსში ასახულია გადაფასებული ღირებულებით. ბოლო გადაფასება განხორციელებულია 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით დამოუკიდებელი შემფასებლის მიერ. ოფისის აღჭურვილობა და ავეჯი და სხვა ივენტარი ბალანსში ასახულია თვითღირებულებიდან აკუმულირებული ცვეთის თანხის გამოკლებით.

კომპანია აწარმოებს დავას 2021 წლის 31 დეკემბერს შეძენილ ექსკავატორთან დაკავშირებით. მომწოდებელთან დავა მიმდინარეობს გაყალბებული მონაცემების გამო. შეძენილი ნივთის სამარკო მონაცემები არ ემთხვევა ფაქტიურს. აღნიშნული ექსკავატორის ფაქტიური გამოყენება კომპანიის მხრიდან ვერ ხორციელდება ფინანსური ანგარიშგების მომზადების თარიღისათვის. ექსკავატორის ნარჩენი ღირებულება 261,004 ლარია.

ბალანსში თვითღირებულების მოდელით ასახული ძირითადი საშუალებები

	დასახელება	ოფისის აღჭურვილობა	ავთო და სხვა ინვენტარი	სულ
	თვითღირებულება			
	ნაშთი: 31.12.2022	<u>26,217</u>	<u>9,915</u>	<u>36,132</u>
	აქტივების შეძენა	492	1,169	1,661
	აქტივების გასვლა			
	ნაშთი: 31.12.2023	<u>26,709</u>	<u>11,084</u>	<u>37,793</u>
	დაგროვილი ცვეთა და გაუფასურება			
	ნაშთი: 31.12.2022	<u>12,651</u>	<u>3078</u>	<u>15,729</u>
	წლიური ცვეთა	2,385	566	2,951
	გასული აქტივების დაგროვილი ცვეთა			
	ნაშთი: 31.12.2023	<u>15036</u>	<u>3644</u>	<u>18680</u>
	საბალანსო ღირებულება 31.12.2022	<u>15,036</u>	<u>3,644</u>	<u>20,403</u>
	საბალანსო ღირებულება 31.12.2023	<u>11,673</u>	<u>7,440</u>	<u>17,390</u>

2012 წლის მაისიდან დღემდე - კომპანია აწარმოებს დავას საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტროსა და საჯარო რეესტრის ეროვნულმა სააგენტოს წინააღმდეგ 9 სართულიანი საერთო საცხოვრებლის ტიპის შენობა-ნაგებობასთან დაკავშირებით, რომელიც კანონიერი საფუძვლის გარეშე, სახელმწიფო საკუთრებად დარეგისტრირდა. მოთხოვნილი ზარალის ასანაზღაურებელი თანხა შეადგენს 2 590 000 ლარს.

8. არამატერიალური აქტივები

	აქტივის დასახელება	ნაშთი 31.12.2023	შემოსვლა	გასვლა	ნაშთი 31.12.2022
	თვითღირებულება				
1	ლიცენზიები	146,853	0	0	146,853
2	საბუღ. პროგ. "ორისი"	1,249	0	0	1,249
3	სხვა პროგრამული უზრუნველყოფა	3,458	0	0	3,458
4	ჭაბურღილის ლიცენზია	221	0	0	221
	ჯამი	151,781	0	0	151,781
	დაგროვილი ამორტიზაცია და გაუფასურება	ნაშთი 31.12.2023	წლიური ამორტიზაცია	გასული აქტივების დაგროვილი ამორტიზაცია	ნაშთი 31.12.2022
1	ლიცენზიები	97648	5654	0	91993
2	საბუღ. პროგ. "ორისი"	1219	65	0	1.154
3	სხვა პროგრამული უზრუნველყოფა	3443	0	0	3.443
4	ჭაბურღილის ლიცენზია	21	5		17
	ჯამი	102.330	5,724	0	96.607
	საბალანსო ღირებულება 31.12.2023	49.451			55.175

9. მარაგი

	დასახელება	ნაშთი 31.12.2023	ნაშთი 31.12.2022
1	ნედლეული და მასალები	9,947	9,904
2	მზა პროდუქცია	57,536	243,981
3	ჯართი	226,008	218,360
4	სხვა მარაგი	69,792	65,329
	ჯამი	363,283	537,574

10. სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

	დასახელება	ნაშთი 31.12.2023	ნაშთი 31.12.2022
1	სავაჭრო დებიტორები	105,979	121,621
2	გაუფასურების ზარალის თანხა	(103,539)	(103,539)
3	სავაჭრო დებიტორების საბალანსო ღირებულება	2,440	18,082
4	წინასწარი გადახდები	1,929	7426
5	წინასწარ გაწეული ხარჯები	13,559	5,644
6	მოთხოვნები დარიცხული პროცენტებიდან	222	28
	ჯამი:	18,150	31,181

**11. ფულადი სახსრები და ფულადი სახსრების
ეკვივალენტები**

	დასახელება	ნაშთი 31.12.2023	ნაშთი 31.12.2022
1	ფულადი სახსრები სალაროში	179	291
2	ფულადი სახსრები ბანკის მიმდინარე ანგარიშებზე - ლარი	153884	51,253
3	ფულადი სახსრები ბანკის მიმდინარე ანგარიშებზე - ლარი	119	115
4	მოკლევადიანი ვადიანი ანაზრები ბანკში-ლარი	50361	2324
	ჯამი:	204543	53,983

12. სავაჭრო და სხვა ვალდებულებები

	დასახელება	ნაშთი 31.12.2023	ნაშთი 31.12.2022
1	სავაჭრო ვალდებულებები	68,645	92831
2	წინასწარ მიღებული თანხები	1,353	4
	ჯამი:	69,998	92,835

13. საგადასახადო ვალდებულებები

	დასახელება	ნაშთი 31.12.2023	ნაშთი 31.12.2022
1	მოგების გადასახადი	12230	5
2	საშემოსავლო გადასახადი	33	20,217
3	დღგ	27949	13,015
4	ქონების გადასახადი		
5	ბუნებრივი რესურსების მოსაკრებელი	10314	11,083
	ჯამი:	50526	44,320

14. სხვა მოკლევადიანი ვალდებულებები

	დასახელება	ნაშთი 31.12.2023	ნაშთი 31.12.2022
1	გასაცემი დივიდენდები	280473	375,617
2	საპენსიო გადასახადი		749
3	ავანსებიდან ჩათვლილი დღგ		1068
	ჯამი:	280473	377,434

15. დაკავშირებულ მხარეებთან განხორციელებული ოპერაციები

2023 წელს უმაღლესი რანგის ხელმძღვანელი პირების ანაზღაურების (კომპენსაციის) მთლიანი თანხა **171,682 ლარი** (2022 წ. **169 889 ლარი**).

სხვა დაკავშირებული მხარეები და მათთან ოპერაციები კომპანიას არ გააჩნია

16. ფინანსური ანგარიშგების დამტკიცება

სამეთვალყურეო საბჭომ ფინანსური ანგარიშგება დამტკიცა და მისი გამოცემის ნებართვა გასცა 2023 წლის 29 აპრილს.

სს „არწივის ხეობა“-ს

დირექტორი:

გელა ბილიაშვილი

29.04.2023 წ.





დამოუკიდებელი აუდიტორის
დასკვნა

სს „არწივის ხეობა“-ს
აქციონერებს

პირობითი მოსაზრება

ჩავატარეთ სს „არწივის ხეობა“-ს ფინანსური ანგარიშგების აუდიტი, რომელიც შედგება 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით მომზადებული ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებისგან, აღნიშნული თარიღით დამთავრებული წლის სრული შემოსავლის ანგარიშგების, საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგებისა და ფულადი ნაკადების ანგარიშგებისაგან, ასევე ფინანსურ ანგარიშგებაზე დართული შენიშვნებისგან, მათ შორის, ყველა მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მოკლე მიმოხილვისგან.

ჩვენი აზრით, ჩვენი დასკვნის - „პირობითი მოსაზრების საფუძველი“ - ნაწილში აღწერილი საკითხის გავლენით განპირობებული შესაძლო შედეგების გარდა, თანდართული ფინანსური ანგარიშგება, ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით, სამართლიანად ასახავს სს „არწივის ხეობა“-ს ფინანსურ მდგომარეობას 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, აგრეთვე მისი საქმიანობის ფინანსურ შედეგებსა და ფულადი სახსრების მოძრაობას იმ წლისთვის, რომელიც დასრულდა მოცემული თარიღით, მცირე და საშუალო საწარმოების ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად.

პირობითი მოსაზრების საფუძველი

როგორც ფინანსური ანგარიშგების N12 შენიშვნაშია აღწერილი 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით სს „არწივის ხეობა“-ს სავაჭრო ვალდებულებები 68 645 (სამოცდარვა ათას ექვსას ორმოცდახუთი) ლარია. აქედან 52 391 ლარი დაკავშირებულია 2022 წლის ოპერაციებთან. სს „არწივის ხეობა“-ს ფინანსური ანგარიშგების აუდიტისას ჩვენ ვერ შევძელით დაგვედასტურებინა ამ ნაშთის არსებობა. ამიტომ ვერ განვსაზღვრეთ, აუცილებელი იყო თუ არა ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში სავაჭრო ვალდებულებების მუხლში რაიმე კორექტირებების შეტანა.

აუდიტს წარვმართავდით აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების (ასს-ების) შესაბამისად. ამ სტანდარტებით განსაზღვრული ჩვენი პასუხისმგებლობები დეტალურად აღწერილია ჩვენი დასკვნის - „აუდიტორის პასუხისმგებლობა ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე“ - ნაწილში. ჩვენ დამოუკიდებლობები ვართ სს „არწივის ხეობა“-საგან იმ ეთიკური ნორმების შესაბამისად, რომლებიც ეხება ჩვენ მიერ ჩატარებულ ფინანსური ანგარიშგების აუდიტს საქართველოში; გარდა ამისა, შევასრულეთ ამ ნორმებით გათვალისწინებული სხვა ეთიკური ვალდებულებებიც. გვჯერა, რომ ჩვენ მიერ მოპოვებული აუდიტორული მტკიცებულებები საკმარისი და შესაფერისია ჩვენი მოსაზრების გამოთქმისთვის აუცილებელი საფუძვლის შესაქმნელად.

ხელმძღვანელობისა და მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელ პირთა პასუხისმგებლობა ფინანსურ ანგარიშგებაზე

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია თანდართული ფინანსური ანგარიშგების მომზადებასა და სამართლიან წარდგენაზე მცირე და საშუალო საწარმოების ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად, ასევე შიდა კონტროლზე, რომელსაც იგი აუცილებლად მიიჩნევს ისეთი ფინანსური ანგარიშგების მოსამზადებლად, რომელიც არ შეიცავს თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ არსებით უზუსტობას.

ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას ხელმძღვანელობას ევალება, შეაფასოს სს „არწივის ხეობა“-ს ფუნქციონირებადობის უნარი და, აუცილებლობის შემთხვევაში, ფინანსური ანგარიშგების შენიშვნებში განმარტოს საკითხები, რომლებიც დაკავშირებულია საწარმოს ფუნქციონირებადობასთან და ანგარიშგების საფუძვლად საწარმოს ფუნქციონირებადობის პრინციპის გამოყენებასთან, იმ შემთხვევის გარდა, როდესაც ხელმძღვანელობას განზრახული აქვს საწარმოს ლიკვიდაცია ან საქმიანობის შეწყვეტა, ან თუ არა აქვს სხვა რეალური არჩევანი, ასე რომ არ მოიქცეს.

მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელი პირები პასუხისმგებლები არიან სს „არწივის ხეობა“-ს ფინანსური ანგარიშგების მომზადებისა და წარდგენის პროცესის ზედამხედველობაზე.

აუდიტორის პასუხისმგებლობა ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე

ჩვენი მიზანია, მოვიპოვოთ დასაბუთებული რწმუნება იმის თაობაზე, მოცემული ფინანსური ანგარიშგება შეიცავს თუ არა თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ არსებით უზუსტობას და შევადგინოთ აუდიტორის დასკვნა, რომელიც მოიცავს ჩვენს მოსაზრებას. დასაბუთებული რწმუნება მაღალი დონის რწმუნებაა, მაგრამ არ არის იმის გარანტია, რომ ასს-ების შესაბამისად ჩატარებული აუდიტი ყოველთვის გამოავლენს ნებისმიერ არსებით უზუსტობას, რომელიც არსებობს. უზუსტობები შეიძლება გამოწვეული იყოს თაღლითობით ან შეცდომით და არსებითად მიიჩნევა იმ შემთხვევაში, თუ გონივრულ ფარგლებში, მოსალოდნელია, რომ ისინი, ცალ-ცალკე ან ერთობლივად, გავლენას მოახდენს იმ მომხმარებლების ეკონომიკურ გადაწყვეტილებებზე, რომლებიც დაეყრდნობიან მოცემულ ფინანსურ ანგარიშგებას.

ასს-ების შესაბამისად აუდიტის ჩატარება ითვალისწინებს აუდიტორის მიერ პროფესიული განსჯის გამოყენებას და პროფესიული სკეპტიციზმის შენარჩუნებას აუდიტის პროცესში. გარდა ამისა, ჩვენი:

- ვადგენთ და ვაფასებთ თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ, ფინანსური ანგარიშგების არსებითი უზუსტობის რისკებს; ვგეგმავთ და ვატარებთ ამ რისკებზე რეაგირებისთვის გამიზნულ აუდიტორულ პროცედურებს და ვკრებთ ისეთ აუდიტორულ მტკიცებულებებს, რომლებიც საკმარისი და შესაფერისი იქნება ჩვენი მოსაზრების გამოთქმისთვის აუცილებელი საფუძვლის შესაქმნელად. რისკი იმისა, რომ ვერ გამოვლინდება თაღლითობით გამოწვეული არსებითი უზუსტობა უფრო მაღალია, ვიდრე რისკი იმისა, რომ ვერ გამოვლინდება შეცდომით გამოწვეული უზუსტობა, რადგან თაღლითობა შეიძლება გულისხმობდეს ფარულ შეთანხმებას, გაყალბებას, ოპერაციების განზრახ გამოტოვებას, აუდიტორისთვის წინასწარგანზრახულად არასწორი ინფორმაციის მიწოდებას ან შიდა კონტროლის იგნორირებას.
- შევისწავლით აუდიტისთვის შესაფერის შიდა კონტროლის საშუალებებს, რათა დავგეგმოთ კონკრეტული გარემოებების შესაფერისი აუდიტორული პროცედურები და არა იმ მიზნით, რომ მოსაზრება გამოვთქვათ სს „არწივის ხეობა“-ს შიდა კონტროლის ეფექტიანობაზე.
- ვაფასებთ ხელმძღვანელობის მიერ გამოყენებული სააღრიცხვო პოლიტიკის მიზანშეწონილობას, ხელმძღვანელობის მიერ განსაზღვრული სააღრიცხვო შეფასებების დასაბუთებულობასა და შესაბამისი ახსნა-განმარტებების მართებულობას.
- დასკვნა გამოგვაქვს ხელმძღვანელობის მიერ ანგარიშგების საფუძვლად საწარმოს ფუნქციონირებადობის პრინციპის გამოყენების მიზანშეწონილობაზე, ხოლო მოპოვებულ აუდიტორულ მტკიცებულებებზე დაყრდნობით ვადგენთ, არსებობს თუ არა რაიმე მოვლენებთან ან პირობებთან დაკავშირებული არსებითი განუსაზღვრელობა, რაც მნიშვნელოვან ეჭვს გამოიწვევდა სს „არწივის ხეობა“-ს ფუნქციონირებადობის უნართან დაკავშირებით. თუ დავასკვნით, რომ არსებობს არსებითი განუსაზღვრელობა, გვევალება ჩვენს აუდიტორის დასკვნაში ყურადღების გამახვილება ფინანსური ანგარიშგების შესაბამის შენიშვნებზე, ან, თუ ამგვარი განმარტებითი შენიშვნები ადეკვატური არ არის - ჩვენი მოსაზრების მოდიფიცირება. ჩვენი დასკვნები ეყრდნობა აუდიტორის დასკვნის თარიღამდე მოპოვებულ აუდიტორულ მტკიცებულებებს. თუმცა, ამის შემდგომი მომავალი მოვლენების ან პირობების გავლენით შეიძლება სს „არწივის ხეობა“ უკვე აღარ იყოს ფუნქციონირებადი საწარმო.
- ვაფასებთ ფინანსური ანგარიშგების წარდგენას მთლიანობაში, მის სტრუქტურასა და შინაარსს, მათ შორის, ახსნა-განმარტებებს და ასევე, ფინანსური ანგარიშგება უზრუნველყოფს თუ არა ფინანსური ანგარიშგების საფუძვლად აღებული ოპერაციებისა და მოვლენების სამართლიან წარდგენას.

მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელ პირებს, სხვასთან ერთად, ინფორმაციას ვაწვდით აუდიტის დაგეგმილი მასშტაბისა და ვადების, ასევე აუდიტის პროცესში წამოჭრილი მნიშვნელოვანი საკითხების, მათ შორის, შიდა კონტროლის სისტემაში გამოვლენილი მნიშვნელოვანი ნაკლოვანებების შესახებ.

ამასთან, მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელ პირებს გადავცემთ დოკუმენტს, სადაც ვადასტურებთ, რომ დავიცავით დამოუკიდებლობასთან დაკავშირებული შესაფერისი ეთიკური ნორმები და ხელმძღვანელობას ვაცნობთ ყველა ურთიერთობისა და სხვა საკითხების შესახებ, რომლებიც, გონივრულ ფარგლებში, შეიძლება მიჩნეულიყო, რომ დაკავშირებულია ჩვენს დამოუკიდებლობასთან, ასევე შესაბამისი დამცავი ზომების შესახებ, აუცილებლობის შემთხვევაში.

აუდიტორი

თ. ცუხიშვილი



თარიღი: 29.04.2024 წ.